

თ. მთავრიშვილისა და ამხანაგობის წიგნის მალაზიის გამოცემა.

ი ა კ ო ბ ხ უ ც ე ს ი.

მე-1'-ე საუკუნე.

წამებად

წმიდისა

შუშანიკისი.

ტექსტი, შენიშვნები და ვარიანტები.

ს. რ. გოგვაძის

რედაქტორობით.

ქუთაისი

1917

წიგანის ბეჭედი

ქართულის ისტორიისა და მწერლობის დასაწყისი ბურჟუაზიის იდეოლოგია. მართალია - სამწერლო ეს ქართულებს, როგორც ჩანს, ქრისტიანობამდეც გვეყენია, მაგრამ ამდროინდელს სამწერლო ნაშთს ჩვენამდე არ მოუწვდია. ურთულებს ქართული ორიგინალური სალიტერატურო ნაწარმოები, რომლის ტექსტისა და ავტორის სახელსა ჩვენამდე მოაწია, წინამდებარე ნაშრომია — იაკობ ხუცესის თხზულება: «წამებაჲ წმიდისა შუქანისისი».

სამწერლოდ ეს ძვირფასი საისტორიო ძეგლი, რომელიც თანამედროვეთა კლამს ეკუთვნის (ე. ი. მე-V-ე საუკუნის ნაწარმოებია), დღემდე რიგგარეშად გამოცემული არა გვაქვს. ერთადერთი გამოცემა მიხეილ საბანიანის მიხედვით «საქართველოს სამთავროს»¹ არც მეტნიერულია და არც ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი: ერთი მხრით უსიამოვნო სიძვირე და სიდიდე (ფორმატი) გამოცემისა საჭირო ახსნა-განმარტებათა უქონლობისათვის შეერთებული და მეორე მხრით კრიტიკულად აუწონ-დაუწონლობა იმ ხელნაწერს დედნებისა, რომლითაც გამოცემულს «სარგებლებია»², სრულიად უკარგავს მის გამოცემას როგორც ფართო საზოგადოებრივს ისე სამეცნიერო მნიშვნელობას.

ჩვენ შევეცადეთ, რამდენადაც შესაძლო იყო, ეს ორმაგი ნაკლი თავიდან აგვეცილებინა და ქართული მკითხველისათვის მიგვეწოდებინა. ისეთი გამოცემა რომლითაც ფართო საზოგადოებამაც ადვილად ისარგებლოს და არც შეგვეფარ-მეცნიერნი დარჩენ უკმაყოფილონი. ამ აზრით «წამების» ტექსტს ჩვენ დაურთეთ ერთი მხრით საჭირო საისტორიო შენიშვნები და სალექსიკონო (სიტყვების) განმარტებანი და მეორე მხრით ხელნაწერ დედანთა მოკლე აღწერილობა და ვარიანტები ამ დედნებიდან. მართალია — პირველი ზედმეტია სპეციალისტ-მეცნიერთათვის, მაგრამ ჩვენი ღრმა რწმენით პირდაპირი დასაშუქლობა იქნებოდა თანამედროვე ქართველობის წინაშე მხოლოდ ორიოდე საკაბინეტო მეცნიერისათვის გამოცემა ისეთი

¹ გამოცემულია პეტრესკალაქს 1882 წელს. გვერდები 181—102.

² ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ. ჩვენი «წერილები საქართველოს ისტორიიდან» ნაწ. II. თფილისი. 1008—1010 წ., გვ. 108—110.

სადიტერატურო ძეგლის რეგორიგ წინამდებარე ნაშრომია: ყოველ შებენებულ შეთხვეულს უფლება აქვს მოგვეხილოს---მისთვის სელმისაწვდომი გავსადათ ისეთი ძეგლი რომლის ენითაც მესხეთე საუკუნის ქართულია გველაზარაება და რომელშიაც შესანიშნავის სინამდვილით გადასწავლია ჩვენი უმძველესი კულტურულ-სარწმუნოებრივი ვითარება, სოციალ-პოლიტიკური წინადადება და კერძო საოჯახო ცხოვრება³.

ს. გორგაძე.

³ თუ რაოდენ ძვირფას საისტორიო მასალებს შეიცავს ეს ძეგლი ჩვენის წარსულის შესასწავლად, ამის საუცხოო საილუსტრაციო ფაქტებს შიგთხეული შრავლად ამოიკითხავს ჩვენის სახელოვანის ისტორიკოსის ივ. ჯავახიშვილის ნაშრომში: „ქართველ ერის ისტორია“ ტომი I (მეორე გამოცემა), გვ. 226—236.

წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი

დედოფლისაჲ.

და აწ დამტკიცებულად გითხრა თქუენ აღსა-
5 სრული წმიდისა და სანატრელისა შუშანიკისი*.

I. იყო მერვესა წელსა სპარსთა მეფისასა— კარად
სამეფოდ წარემართა ვარსკენ პიტიაშხი ძმ არშუშაჲსი¹.
რამეთუ პირველ იგიცა იყო ქრისტიანე ნაშობი
მამისა და დედისა ქრისტიანეთაჲ. და ცოლად მისა

10 იყო | ასული ვარდანისი სომეხთა სპაპეტისაჲ², რომლისათჳს ესე მიეწერე თქუენდა, მამისაგან სახელით
ვარდან და სიყუარულით სახელი მისი შუშანიკი,
მოშიში ღმრთისაჲ, ვითარცა | იგი ვთქუთ, სიყრმი-
15 გან თჳსით. და უკეთურებისა მის სახისა ქმრისა მი-
სისაჲსა მარადის გულს ეტყუნ და ევედრებინ ყო-
ველთაჲე ლოცვის ყოფად მისთჳს რამთამცა ცვალა
იგი ღმერთმან სახისა მისგან უგუნურებისა და იქმნაჲ-
ცა გონიერებასა ქრისტესსა.

ხოლო ამის უბადრუკისა³ და სამეზის საწყა-
20 ლობელისა ვარსკენისი ვითარმე ვინ თქუას ყოვლად
განწირულისაჲ ვითარ იგი განაგდო სანატრელი სა-
სოებაჲ ქრისტესი! ანუ ვინ არა სტიროდის მას რო-
მელსა არცა ჳირი ეხილვა, არცა შიში, არცა მახვლი,
არცა პყრობილებაჲ ქრისტესსთჳს!

25 რამეთუ, რაჲმს წარდგა იგი წინაშე სპარსთა
მეფისა, არათუ პატივისა მოღებისათჳს არამედ ძღუნად
თავსა თჳსსა შესწირვიდა მეფისა მის მიმართ უფარის-
ყოფითა ქეშმარიტისა ღმრთისაჲთა და თაყუანის

S182
D196b
A735b
B169a

სცემდა | ცეცხლსა⁴ | რაჲმეთუ ყოვლითკერძოვე თავი D197ა
თჳსი ქრისტსგან განავლო. A736ა

ხოლო საწყალობელი ესე ცოლსა ითხოვდა
სპარსთა მეფისაგან რაჲთამცა სათნო ეყო⁵ მეფესა და
5 ესრეთ ეტყოდა ვითარმედ «რომელი იგი ბუნებითი
ცოლი არს და შვილნი იგინიცა ესრევე მოვაქცინე
შენსა შჯულსა ვითარცა ესე მე». ამას უქადებდა
რომელი იგი არა აქუნდა კელთა შუშანიკისგან.

მაშინ განიხარა მეფემან და ბრძანა ცოლად მისა
10 ასული მეფისაჲ.

II. ლა იჯმნა¹ მეფისაგან სპარსთაჲსა პიტიაშ- C121ა
ხმან. და, ვითარცა მოიწია იგი საზღვართა ქართლი-
სათა ქუეყანასა მას ჰერეთისასა², ზრახვა ყო რაჲთა
აუწყოს და წინა მიეგებნენ მას აზნაურნი და მისნი

15 ძენი და მსახურნი მისნი რაჲთა მათ გამო ვითარცა B169ბ
გუელი სოფლად შევიდეს; და წარმოჰმართა სადიას-
პანოჲთა³ ცხენითა მონაჲ თჳსი.

ვითარცა მოვიდა [მონაჲ იგი] | დაბასა⁴ რო- A736ბ
მელსა სახელი ჰრქჳან ცუქრტავ⁵ და ვითარცა მოი- D197ბ

20 წია და შევიდა წინაშე შუშანიკისა დედოფლისა ჩუენი-
სა, — და კითხვაჲ ჰრქჳა⁶.

ხოლო სანატრელმან შუშანიკ ვითარცა წინ-
[აჲსწ]არმეტყუელმან ჰრქჳა: «უკუეთუ სულითა ცხო-
ველ⁷ არს იგი, ცოცხალმცა ხართ იგიცა და შენცა.

25 უკუეთუ სულითა მომკუდარ ხართ, მოკითხვაჲ ეგე
შენი შენდავე მოიქეცინს!»

ხოლო კაცმან ვერ იკადრა⁸ სიტყუად მისა.

| ხოლო წმიდაჲ შუშანიკ აფუცებდა და ჰკითხ- S183
ვიდა დაბტკიცებულად. ხოლო კაცმან უთხრა მართა-

30 ლი და ჰრქჳა ვითარმედ ვარსქენ უვარ ყო ჰეშმარიტი
ღმერთი:

ვითარცა ესმა ესე ნეტარსა შუშანიკს, დავარდა
იგი ქუეყანასა ზედა და თავსა დამართ სცემდა და
კრემლითა მწარითა იტყოდა: «საწყალობელ იქმნა

35 უბადრუკი ვარსქენ რაჲმეთუ უვარ ყო ჰეშმარიტი

ღმერთი და აღიარა არტოშანი⁹ და შეერთო იგი უღმერთოთა».

5 |და აღდგა და დაუტევა ტაძარი¹⁰ თვისი და A737a
ღმრთისმოშიშებით ეკლესიად შექვიდა და თანა მი- D198a
წარადგინნა იგინი წინაშე საკურთხეველსა და ესრტო
ილოცვიდა და იტყოდა:

10 |«უფალო ღმერთო! შენნი მოცემულნი არიან B170a
და შენ დაიცივენ ესენი განათლებულნი წმიდისაგან
ემბაზისა მადლითა სულისა წმიდისაჲთა ყოფად ერთ
სამწყსო ერთისა მწყემსისა უფლისა ჩუენისა იესუ
ქრისტესა».

15 და ვითარცა მწუხრისა ჟამი აღასრულეს, სახ-
ლაკი ერთი მცირს პოვა მახლობელად ეკლესიასა
და შევიდა მუნ-შინა¹¹ სიმწარითა სავსს და მიეყრდნა
ყურესა ერთსა და მწარითა ცრემლითა ტიროდა.

III. ხოლო ეპისკოპოსი იგი სახლისაჲ მის პი- C121b
|ტიაშისაჲ, რომელსა სახელი ერქუა აფუტ, არა
მუნ იყო არამედ კაცისა ვისამე წმიდისა ვანად¹ მი-
20 სრულ იყო კითხვად რაჲსამე სიტყვსა. და მეცა ხუ- A737b
ცესი დედოფლისა შუშანიკისი თანა ვჰყვანდი ეპის-
კოპოსსა მას.

25 და მკის² მოიწია ჩუენდა დიაკონი შინაჲთ და
გვთხრა ჩუენ ესე ყოველი: მოსლვაჲ პიტიაშისაჲ
და საქმენი დედოფლისანი. |ხოლო ჩუენ აღვივსე- D198b
ნით მწუხარებითა და დიდითა ტირილითა ვტირო-
დეთ განმწარებულნი ცოდვითა ჩუენთა წარმოჩინე-
ბისათჳს.

30 ხოლო მე ვიჯმენ³ ადრე და მივიწიე დაბასა მას
რომელსა იყო ნეტარი შუშანიკ. და, ვითარცა ვი-
ხილე იგი განმწარებული, მეცა ვტიროდე მის თანავე.

და ვარქუ ნეტარსა შუშანიკს: «ლუაწლსა დიდსა B170b
შესლვად ხარ, დედოფალო! ეკრძალე საჩწმუნოე-
ბასა ქრისტესსა: ნუ უკუე მტერმან ვითარცა სრსულ-
35 მან⁴ საძოვარი პოოს შენ თანა!»!

ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე: «ხუცეს, და მეცა დიდსა ლუაწლსა განმზადებულ ვარ».

და მე ვარქუ მას: «ეგრტთ არს! მენე იყავ, A738a მოთმინე და სულგრძელ!»

5 ხოლო მან მრქუა მე: «ჩემდა მარტოჲსა არიან კირნი ესე!»

ხოლო მე ვარქუ მას: «კირი შენი კირი ჩუენი არს და სიხარული შენი სიხარული ჩუენი არს: ჩუენი არა ხოლო თუ დედოფალი ოდენ იყავ არამედ ჩუენ ყო-

10 ველთა ვითარცა შეილთა გუხედევდ!» და ვარქუ მე სანატრელსა მას: «ხუაშიადადრე⁵, ვითარ გეგულეობის, მითხარ მე რაჲთა უწყოდნი⁶ ღ აღვეწერო შრომაჲ შენი». D199a

ხოლო მან მრქუა მე: «რასა მკითხავ ამას?». და მე მიუგე და ვარქუ მას: «მტკიცედ სდგაა?». და მან

15 მრქუა მე: «ნუ იყოფინ ჩემდა თუმცა ვეზიარე საქმეთა და ცოდვთა ვარსკენისთა!»

მე მიუგე და ვარქუ მას: «მწარე გონებაჲ აქუს მას: გუემასა და ტანჯვასა დიდსა შევაგდოს შენ».

ხოლო მან მრქუა მე: «უმჯობეს არს ჩემდა კელთა მისთაგან სიკუდილი ვიდრე ჩემი და მისი

20 შეკრებაჲ და წარწყმედაჲ სულისა ჩემისაჲ! | რაჲმეთუ მასმიეს მე პავლსს მოციქულისაგან: არა დამონებულ არს ძმაჲ გინა დაჲ არამედ განეყენ⁷». A738b C122a B171a

და მე ვთქუ: «ეგრტთ არს!»

25 IV და ვიდრე ჩუენ ამას სიტყუასა შინა ვიყვენით, კაცი ერთი სპარსი მოვიდა და შევიდა იგი წინაშე ნეტარისა შუშანიკისა და ტირილით იტყოდა: «ესევეითარი სახლი მშვდლობისაჲ ვითარ საწყალობელ იქმნა და სიხარული მწუხარებად გარდაიქცა!» ხოლო

30 ზრახვითა¹ იყო იგი ვარსკენისითა და ზაკუვით² იტყოდა ამას და უნდა მონადირებაჲ ნეტარისაჲ მის. D199b

ხოლო წმიდამან მან ცნა ზაკუვითი იგი ზრახვაჲ მისი და მოიზლუდა თავი მისი მტკიცედ.

და შემდგომად სამისა დლისა მოვიდა ვარსკენ

35 პიტიაშხი.

და უთხრა სპარსმან მან ფარულად და ჰრქუა:
 «მე ვითარ მიცნობიეს, ცოლი შენი განდგომილ S184
 არს შენგან და მე გეტყვ შენ: ნურას ფიცხელსა სი-
 ტყუასა ეტყვ მას: რაჲმეთუ დედათა ბუნებაჲ იწრო A739a
 5 არს»

და ხვალისა დღე, ვითარ აღდგა პიტიაშხი, გვ-
 წოდა ჩუენ ხუცესთა და მივედით; და სიხარულით
 შეგვძთხვნა³ და გურქუა ჩუენ: «აწ ნურას შეროდე-
 ბით მე და ნუსალა გძაგ!» და ჩუენ მიუგეთ და
 10 ვარქუთ: «წარწყმიდე თავი შენი და ჩუენცა წარ-
 გუწყმიდენ!»

მაშინლა იწყუად და თქუა: «რაჲსა კელ
 იწითა⁴ ჩემ ზედა ცოლმან ჩემმან უსევეითარისა საქ- D200a
 მედ! აწ მივედით და არქუთ ვითარმედ! შენ ჩემი B171b
 15 ხატი⁵ დაამხუ და საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ
 და შენი ადგილი დაგიტევებიეს და სხუად წარ-
 სულ ხარ!»

ხოლო წმიდამან შუშანიკ თქუა: «არაჲთუ მე
 აღმემართა ხატი იგი და მემცა დავამხუ. ხოლო მა-
 20 მამან შენმან აღჰმართა სამარტკლენი⁶ და ეკლესიანი
 აღაშენნა და შენ მამისა შენისა საქმენი განჰრყუ-
 ნენ და სხუად გარდააქციენ კეთილნი მისნი. მამამან
 შენმან წმიდანი შემოიხუნა⁷ სახიდ⁸ თჳსა, ხოლო A739b
 შენ დეენი⁹ შემოიხუნენ. მან ღმერთი ცათაჲ და
 25 ქუეყანისაჲ აღიარა და ჰრწმენა, ხოლო შენ ღმერ-
 თი კეშმარიტი უვარ ჰყავ და ცეცხლსა თაყვანის ეც.
 და ვითარცა შენ შემოქმედი შენი უვარ ჰყავ ეგრე- C122b
 ცა მე შენ შეურაცხ გყავ. და თუ მრავალი ტანჯ-
 ვაჲ მოაწიო ჩემ ზედა, მე არა ვეზიარო საქმეთა
 30 შენთა!»

ხოლო ჩუენ ესე ყოველი მიუთხარო პიტიაშხსა. D200b
 ხოლო მან განიწყუ გული და იბრდლუენდა¹⁰ მისთჳს.

V მერმე მიავლინა [პიტიაშხმან] ჯოჯიკ ძმაჲ
 თჳსი და ცოლი ჯოჯიკისი ძმისცოლი თჳსი და ეპის-
 15 კოპოსი სახლისა თჳსისაჲ და ჰრქუა მათ: «ესრტო

არქუთ: აღდგე და მოვედ აღგილსა თვისსა და ნუ ეგე-
ვითარი გონებაჲ გიპყრიეს! უკუეთუ არა—თრევით
მოგითრიო!»

5 და ვითარ მიიწინეს და შევიდეს | წინაშე დედოფ- B172a
ლისა და მრავალსა დასაჯერებელსა სიტყუასა ეტყო-
დეს მას.

მაშინ წმიდამან შუშანიკ ჰრქუა მათ: «კაცო
ბრძენო! თქუნენ | კეთილად იტყვთ გარნა ნუ დაგი- A740a
ჯერებიეს თუმცა მე მისა ცოლადლა ვიყავ. მეგონა

10 მე ვითარმედ იგი ჩემდა მოვაქციო და ღმერთი ჰეშ-
მარიტი აღიაროს და აწ მე მაიძულეობთ ამას ყოფად?
ნუ იყოფინ ესე ჩემდა! და 'შენ, ჯოჯიკ, არლარა
ჩემი მაზლი ხარ და არცალა მე 'შენი ძმის | ცოლი, D201a

15 არცა ცოლი 'შენი დაჲ ჩემი არს, რომელნი მის
კერძო და მისთა საქმეთა ზიარ ხართ!»

ჰრქუა მას ჯოჯიკ: «უწყი მე, აწ მოავლინნეს
მსახურნი და თრევით წარგიყვანოს 'შენ».

ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა: «უკუეთუ შე-
მკრას და მითრიოს, მიხარის რაჲმეთუ მით სახითა
20 იყოს განჩინებაჲ¹ ჩემი მისგან».

და ვითარცა ესმა ესე მისგან, ცრემლოოდეს
ყოველნი. და ჯორჯიკ აღდგა და ცრემლითა გარე
განვიდა.

ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა ეპისკოპოსსა:
25 «ვითარ მეტყვ მე დაჯერებად ჩემდა რაჲმეთუ მან
ღმერთი უვარ ყო?»

ხოლო ჯოჯიკ ევედრებოდა და ეტყოდა: «დაჲ
ჩუენი ხარ 'შენ: ნუ წარსწყვიდ² სახლსა ამას | სადე- A740b
დოფლოსა!»

30 ჰრქუა მას წმიდამან შუშანიკ: «უწყი ვათარმედ
დაჲ ვარ და ერთგან განზრდილნი; ხოლო მაგას ვერ
ვპყოფ ვითარმცა მოსისხლეონაჲ იქმნა | და თქუენ C123a
ყოველნი თანამედ³ იქმნენით».

და, ვითარცა ფრიად აურევბდეს⁴ მას, აღდგა
35 წმიდაჲ და ნეტარი შუშანიკ და თანაწარიტანა ევან- B172b

გელს⁵ | თვისი და ტირილით ესრესთ იტყოდა: «უფა- D201ბ
ლო ღმერთო, შენ უწყი ვითარმედ მე გულითად
სიკუდილდ მივალ!» ესე თქუა და წარვიდა მათ თა-
ნა და თანაწარიტანნა ევანგელს თვისი და წმიდანი
5 იგი წიგნნი მოწამეთანი.

და რაჟამს შევიდა იგი ტაძარსა⁶ მას, არა და- S18ბ
ჯდა იგი თვისსა მას გალიაკსა⁷ არამედ სენაკსა⁸ შინა
მცირესა. და აღიპყრნა კელნი თვისნი ზეცად წმიდა-
მან შუშანიკ და თქუა:

10 «უფალო ღმერთო! არცა მღდელთაგანი ვინ
იპოვა მოწყალს, არცა ერისა კაცი ვინ გამოჩნდა
შორის ერსა ამას, არამედ ყოველთა მე სიკუდილდ
მიმითუალღეს მტერსა ღმრთისასა ვარსქენს».

VI. | და შემდგომად ორისა დღისა მოვიდა მგე- A741ა

15 ლი იგი ტაძრად და ჰრქუა მსახურთა თვისთა: «დღეს
მე და ჯოჯიკ და ცოლმან მისმან ერთად პური ეკა-
მთ, ხოლო სხუასა ნუ ვის უფლიედ ჩუენ თანა
შემოსვლად!»

და, რაჟამს შემწუხრდა¹, მოუწოდეს ცოლსა
20 ჯოჯიკისასა და ინებეს ერთად პურისა ქამაჲ რაჲ- D202ა
თამცა მოიყვანეს წმიდაჲ შუშანიკცა.

და ვითარცა მოიწია ჟამი პურისაჲ, შევიდეს
ჯოჯიკ და ცოლი მისი წინაშე წმიდისა შუშანიკისა
რაჲთამცა მასცა აქვშეს პური რაჲმეთუ ყოველნი იგი B173ა

25 დღენი უზმასა²: გარდაევიდეს.

და ვითარცა მეტად აიძულეს და ძლით³ წა-
რიყვანეს ტაძრად, ხოლო გემოჲ არარაჲსაჲ იხი-
ლა. ხოლო ცოლმან ჯოჯიკისმან მიართუა ღვნოჲ
ქიქითა და აიძულებდა მას რაჲთამცა იგი ხოლო
30 შესუა.

ჰრქუა მას წმიდამან შუშანიკ. რისხვით: «ოდეს
ყოფილ არს აქამომდე თუმცა მამათა და დედათა A741ბ
ერთად ეკამა პური?» და განყარა კელი და ქიქაჲ
იგი პირსა შეალეწა და ღვნოჲ იგი დაითხია⁴.

35 მაშინ იწყო უჯეროსა გინებად ვარსქენ და ფერ-

კითა თვსითა დასთრგუნვიდა მას; და აღილო ასტა-
მი⁵ და უხეთქნა მას თავსა და ჩაძვლა და თუალი

ერთი დაუბუშტა; და მჯიღრთა⁶ სცემდა პირსა მის-
სა | უწყალოდ და თმითა მიმოიორევედა; ვითარცა მკე- D202ბ

მაშინ შუელად აღდგა ჯოჯიკ ძმაჲ მისი და
იბრძოდეს ვიდრემდის გუემა⁷ ოგრცა და თავსა მისსა C123ბ
მოხეთქა და ქირა⁸ ვითარცა კრავი მგელსა გამო-
ულო კელთა მისთა.

10 და ვითარცა მკუდარი იღვა წმიდაჲ შუშანიკ
ქუეყანასა⁹ ზედა.

და აგინებდა ვარსქენ¹⁰ თესლ-ტომსა მისსა და
სახლისა მოაკრებელად სახელს¹¹ დებდა მას; და უბრ- B173ბ
ძანა შეკრვაჲ მისი | და ბორკილთა შესხმაჲ ფერკთა A742ა

15 მისთა.

და ვითარცა მცირედ დარესცხრა¹² გულის-
წყრომისაგან, მოვიდა სპარსი იგი და მკურვალედ
ევედრებოდა მას რაჲთამცა საკრველთა მათგან გა-
ნეტევა¹³ წმიდაჲ შუშანიკ.

20 და ვითარ ფრიად ევედრებოდა, ბრძანა განტე-
ვებაჲ მისი და სენაკსა ერთსა შეყვანებაჲ და კრძა-
ლულად დაცვაჲ მისი ერთითა მსახურითა | და რაჲთა
სხუაჲ არავინ შევიდეს ხილვად მისა: არცა მამაკაცი,
არცა დედაკაცი.

25 VII. და ვითარცა ცისკარ¹⁴ ოდენ იყო, იკითხა
და თქუა მსახურისა მიმართ მისისა ვითარმედ «წყლუ-
ლებისა¹⁵ მისგან ვეფარ არს». ხოლო მან პრქუა მას:
„ვერ განსჯინებელ არს იგი“.

მაშინ თვთ შევიდა და იხილა იგი და დაუ-
30 კვრდა¹⁶ დიდძალი იგი სიმსიენს მისი. და ამცნო მსა-
ხურსა მას და პრქუა: «ნუმცა ვინ შევალს ხილვად
მისა» და თვთ ნადირობად წარვიდა.

ხოლო მე აღვდეგ. და მივედ¹⁷ და ვარქუ მკველსა A742ბ
მას: «მე ხოლო მარტოჲ შემიტევე და ვიხილო წყლუ-

35 ლებაჲ იგი მისი». ხოლო მან პრქუა მე: «ნუუკუე

ცნას და მომკლას მე!» და მე ვარქუ მას: «უბადრუ-
კო, არა მისი განხრდილი ხარა? და თუცა მოგკლას
შენ მისთვის, რაჲ არს?! მაშინ შემიტყევა მე ფარუ-
ლად.

5 და ვითარ შევედ შინა, ვიხილე ხაუი⁹ მისი B174a
დაბძარული და განსივებული და აღუტყევე კმაჲ და
ვტიროდე.

ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე: «ნუ¹ სტირ D203b
ჩემთვის, რაჲმეთუ დასაბამ¹⁰ სიხარულისა იქმნა ჩემდა
10 ლამს ესე».

და მე ვარქუ წმიდასა შუშანიკს: «მიბრძანე და
მოგბანო სისხლი ეგე პირსა შენსა და ნაცარი, რო-
მელი თუალთა შენთა შთაცუეულ არს, და საღბუ-
ნი⁷ და წაშალი დაგდვა რაჲთა, ჰე, ლამე თუ განი-
15 კურნო!»

ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე: „ხუცეს!
მაგას ნუ იტყვ რაჲმეთუ სისხლი ესე განმწმედელი C124a
არს ცოდვათა ჩემთაჲ“ S186

ხოლო მე მცირედ ვაიძულე მიღებად ქამადი A743a
20 რომელი მოედლუნა სამოელ ეპისკოპოსსა⁸ და იოვა-
ნეს რაჲმეთუ ფარულად იღუწიდეს და ნუგეშინის
სცემდეს.

მაშინ მრქუა მე წმიდამან შუშანიკ: «ხუცეს!
ვერ ძალ მიც⁹ გემოხსილვად რაჲმეთუ ყბანი და
25 ზოგნი კბილნი შთამუსვრილ¹⁰ არიან».

მაშინ მივიღე მცირედ ღვნოჲ და პური დავალ-
ბე და მცირედ გემოჲ იხილა. და მე ვისწრაფდი გა-
მოსლვად.

მაშინ მრქუა მე წმიდამან შუშანიკ: «ხუცეს,
30 მიუძღუნაო სამკაული ესე მისი? ნუ:უკუე ითხოვ- D201a
დეს, რაჲმეთუ მე ამას ცხორებასა არღარად მეკმა-
რების».

ხოლო მე ვარქუ: „ნურას ესწრაფი! იყოს შენ
თანა“.

35 და ჩუენლა ამას განვიზრახვედით, მოვიდა ყრმაჲ B174b

ერთი და თქუა: „იაკობ მანდა არსა?“ და მე ვარქუ ვითარმედ «რახ გინებს?» და მან მრქუა: „უწესს¹¹ პიტიაშხი“.

და მე დამიკვრდა თუ რახსა მე მიწესს | ამას ჟამსა. A743b

5 და მივისწრაფე და მივედ.

და მან მარქუა მე: „უწყია, ხუცეს, მე ბრძოლად წარგაო ჰონთა¹² ზედა? და ჩემი სამკაული მას არა დაუტეო, ოდეს იგი არა ჩემი ცოლი არს: იპოოს ვინმე რომელმან განკათოს¹³ იგი. მივედ და მო-
10 მართუ იგი ყოველივე რახცა რახ არს“.

ხოლო მე მივედ და უთხარ წმიდასა შუშანიკს. ხოლო მან განიხარა ფრიად და მადლი მისცა ღმერთსა და ყოველივე მომიძღუნა და მივართუ პიტიაშხსა. და მან მიიღო ჩემგან, აღიხილა და იპოვა

15 ყოველი გებულად¹⁴ და კულად თქუა: «მერმეცა იპოოს ვინმე რომელმან ესე შეიმკოს».

VIII. | და ვითარცა მოიწინეს დიდნი იგი მარხვანი, მივიდა ნეტარი იგი შუშანიკ მახლობელად წმიდასა ეკლესიასა და იძია მცირს სენაკი და მუნ

20 დაეყუდა.

და იყო სენაკსა მას მცირს სარკუმელი¹ და დაყო² იგი; და იყო იგი ბნელსა მას შინა მარხვით და ლოცვით და ტირილით.

და ჰრქუა ვინმე პიტიაშხსა საკუთარმან მისმან
25 ვითარმედ «ამათ | წმიდათა მარხვათა ნურას ეტყვ მას». A744a

და ვითარ მოიწია აღესებისა³ ორშაბათი | და მოვიდა პიტიაშხი ბრძოლისა მისგან ჰონთახსა, ეშმაკი თხრიდა გულსა მისსა; და აღდგა და მივიდა ეკლესიად და ეტყუდა ეპისკოპოსსა მას აფუტას: «გამო-
30 მეც ცოლი ჩემი! რად განმაშორებ ჩემგან?» და იწყო გინებად და გმოზად ღმრთისა სასტიკად.

ხოლო ხუცესმან ერთმან ჰრქუა მას: „უფალო, რახსა ეგრე იქმ და იტყვ ეგრესთ შოროტსა და აგინებ ეპისკოპოსსა და წმიდასა შუშანიკს რისხვით

35 ეტყვ?“

ხოლო მან უხეთქნა კუერთხითა¹ ხუცესსა მას ზურგსა და მან ვერლარა იკადრა სიტყუად. D205a

და ეგრტო წმიდაა შუშანიკ თრევით მოით-
რია თიკათა შიგან და ეკალთა ზედა ეკლესიით ვიდ-
5 რე ტაძრადმდე, ვითარცა მკუდარი მოეთრია. და
ადგილდ-ადგილდ ქუე|ქედ² დაეფინა და თვთ ფერკ- A744b
ნი დაიდგნის ძეძუსა მას „ზედა; და კუბასტნი“ შუ-
შანიკისნი და კორცნი წულილ-წულილად დაეძარ-
ნეს⁷ ძეძუსა მას და ეგრტო მოიყვანეს იგი ტაძრად.

10 და უბრძანა შეკრვაჲ მისი და ცემაჲ, ბორო-
ტებდა და იტყოდა: «აჰა ეგერა არა გერგო შენ ეკლე-
სიაჲ შენი და არცა ზურგნი ეგე 'შენნი ქრისტიანენი
და უფალი იგი მათი!»

|და ვითარცა სცეს კუერთხითა სამას ოდენ, B175b

15 არა რაჲ აღმოკდა პირსა მისსა ვაჲებაჲ, არცა კუნესაჲ.
მაშინლა ჰრქუა წმიდამან შუშანიკ ურჩულოსა⁸
ვარსქენს: «უბადლო, შენლა თავი თვისი არა შეი-
წყალე და განსდევ ღმრთისაგან, შენ მემცა შემე-
წყალეა?!»

20 |და ვითარცა იხილა დიდძალი იგი სისხლი რო- D205b
მელ გამოსდიოდა ჩჩვლთა მათ კორცთა მისთა, მა-
შინ უბრძანა დადებად ჯაკვ ქედსა მისსა და უბრძანა

|სენაკაპანსა⁹ ერთსა რაჲთა წარიყვანონ წმიდაა შუ- A745a
შანიკ ციხედ და საპყრობილესა ბნელსა შეაყენონ
25 იგი და მოკუდეს.

IX. ღიაკონი ვინმე ერთი მის ეპისკოპოსისაჲ
დგა წმიდისა შუშანიკის თანა მას ჟამსა, რომელსა
გამოჰყვანდა იგი ტაძრით, და უნდა რაჲთამცა ჰრქუა S187
თუ «მტკიცედ დეგ!» და თუალი ჰკიდა პიტია|შხ- C125a

30 მან, სხუაჲ ვერლარაჲ სცალდა სიტყუად, ესთენ ოდენ
ჰრქუა: „მტკი...“ ზ დადუმნა ხოლო ზ სიელტოლად¹
იწყო სწრაფით.

მაშინ წარმოიყვანეს და მოჰყვანდა წმიდაა შუ-
შანიკ უკამური² და თმაგარდატევებული ვითარცა
35 ერთი ვინმე შეურაცხთაგანი და ვერვინ იკადრა

თავსა მისსა დაბურვად³ რაჲმეთუ პიტიაშხი იგი მკედრ⁴ D206a
შეუდგა უკუანა კუალსა მისსა | და აგინებდა მას B176a
მრავლითა გინებითა.

და მივიღოდა წმიდისა | მის თანა ამბოხი⁵ მრ- A745ბ
5 ვალი დედებისა და მამებისაჲ, სიმრავლჳ ურიცხვ,
რაჲმეთუ უკუანა შეუდგეს, კმაჲ აღემაღლა და ტი-
როდეს და იკაცდეს⁶ ლაწუთა⁷ მათთა და საწყალო-
ბელად დასთხვედეს ცრემლთა მათთა წმიდისა შუშა-
ნიკისთჳს.

10 ხოლო წმიდამან შუშანიკ უკმოჰხედნა ერსა მას
და ჰრქუა მათ: «ნუ სტიროთ, ძმანო ჩემნო და დანო
ჩემნო და შვილნო ჩემნო, არამედ ლოცვასა მომი-
კსენეთ და ჯმნულმცა⁸ ვარ მე თქუენგან ამიერი-
გან რაჲმეთუ არღარა მიხილოთ ცოცხალი გამო-

15 სრული ციხით!».

და ვითარცა იხილა პიტიაშხმან ამბოხი იგი
და ტირილი მამათაჲ და დედათაჲ მოხუცებულთა და
ყრმათაჲ, მკედრ მიმოდეს⁹ ასდევინი და მეოტ¹⁰ ჰყოფნ D206ბ
მათ ყოველთა.

20 და ვითარცა მიიწინეს კიღსა მას ციხისასა,
ჰრქუა პიტიაშხმან წმიდასა შუშანიკს: «შენდა ეგდენ
ყოფად არს ფერკითა | შენითა სლვაჲ რაჲმეთუ ცოც- A746a
ხალი არღარა გამოსვლად ხარ გარნა თუ ოთხთა
გამოგიღონ!»

25 ზე ვითარცა შევიდეს ციხედ, პოვეს სახლაკი ერთი
ჩრდილოჲთ კერძო მცირჳ და ბნელი და მუნ შეაყენეს
წმიდაჲ იგი. და ჯაკჳ იგი, რომელ ედვა ქედსა მისსა, B176ბ
ეგრჳთვე ედვა; და დაჰბეჰდა ურჩულ[ო]მან ვარსქენ
ბეჰდითა თჳსითა.

30 ხოლო წმიდამან შუშანიკ თქუა: „მე ამას მხი-
არულ ვარ რაჲთა აქა ვიტანჯო და მუნ¹⁰ განვისუე-
ნო“. ხოლო პიტიაშხმან ჰრქუა მას: „ჰე, ჰე, განი-
სუენე!“

მაშინ დაადგინნა მკველნი მას ზედა და ამცნო
35 მათ რაჲთა სიყვილითა¹¹ მოკლან იგი. და ესრჳთ

ეტყოდა მათ: „გეტყვ თქვენ: უკუეთუ ვინმე შევი-
დეს მისა მამაკაცი გინა დედაკაცი, იხილენით თავნი C125ბ
თქვენნი და ცოლნი და შეილნი და სახლნი! თქვენნი, D207ა
უბრალომცა ვარ, რაჲ გიყო თქვენ!“

5 X. მამონ გამოვიდა ციხით. და მესამესა კვრია- A746ბ
კესა მოუწოდა მცველსა ერთსა, ჰკითხა მას და
ჰრქუა: «აქამომდე ცოცხალა არსა საწყალობელი
იგი?»

ხოლო მან ჰრქუა: „უფალო! სიკუდილდ კერ-
10 ძო უფრო საგონებელ არს ვიდრე სიცოცხლით, რაჲ-
მეთუ შიმშილითა უფროჲს ხოლო მოკუდების რაჲ-
მეთუ არარას მიიღებს საზრდელსა“

ხოლო მან ჰრქუა: «ნურარაჲ გგლიან¹, უტე—
მოკუდეს!»

15 ხოლო მე მრავლითა ვედრებითა ვარქუ მცველსა
მას და უქადე ჰურქერი ერთი სამისოჲ და ძნიალ²
თავს იღვა შეტევებაჲ ჩემი და მრქუა მე: «რაჲჲმს
დაღამდეს, მოვედ შენ ხოლო მართოჲ».

და ვითარცა შემიყვანა მცველმან მან და ვი-
20 ხილე ტარიგი³ იგი ქრისტსი შეენიერად ვითარცა B177ა
სძალი⁴ შემკული საკრველთა მათგან. და მე, ვითარ
ვერ დამითმო გულმან, ვტიროდე ფრიალ. D207ბ

ხოლო წმიდამან უშუანიკ მრქუა მე: | «კეთილისა A747ა
ამისთვის სტირა, ხუცეს?»

25 ხოლო მცველმან მრქუა მე: «ესელა თუმცა
მეცნა; არამცა შემოგიტევე შენ».

ხოლო მე ვიწყე სიტყუად და განშტიცებად
მისა, რაჲდენი ღმერთმან მომცა მე სიტყუად. და
ვიჯმენ მისგან და წარვედ სწრაფით ვანაღ⁵ ჩემდა.

30 ხოლო პიტიაშხი ჩორღ⁶ წარემართა. და ჯოჯიკ
ძმაჲ მისი არა დახუდა, ოდეს საქმც ესე იქმნა წმი-
დისა უშუანიკის ზედა. და ვითარ მოიწია ჯოჯიკ,
უკუანა სდევედა პიტიაშხსა და მიეწია მას საზღვართა
ჰერეთისათა და ევედრებოდა მას ფრიალ რაჲთამცა

35 ბრძანა საკრველთა მათგან განტევებაჲ მისი.

და ვითარ ფრიად აწყინა⁷, ბრძანა განტევებაჲ
 საკრველთაგან ოდენ. და ვითარ მოვიდა ჯოჯიკ,
 |აღჰკადა ჯაქვ იგი ქედსა მისსა. ხოლო ბორკილთაჲ S188
 არა თავს იღვა |წმიდამან შუშანიკ ვიდრე აღსასრუ- A747ბ
 5 ლამდე მითურთ. D208ა

რამეთუ ექუსი წელი ციხესა მას შინა აღა-
 სრულა და წესიერებითა საღმრთოჲთა ყუაოდა: მარხ-
 ვითა მარადის, მღვდარებითა, ზედგომითა, თაყუანის| B177ბ
 ცემითა |უწყინოდ და კითხვითა წიგნთაჲთა მოუწყი- C126ა
 10 ნებელად; განაბრწყინა და განაწუნა 'ყოველი იგი
 ციხს სულიერითა მით ქნარითა.

XI. და მიერთგან განითქუა ყოველსა ქართლსა
 საქმს მისი. და მოვიდოდეს მამანი და დედანი აღნა-
 თქუემთა შეწირვად და, რაჲ ვის უკმდა¹, მიემადლე-
 15 ბოდა წმიდითა ლოცვითა ნეტარისა შუშანიკისითა
 რომელსა მოსცემდა მას კაცთმოყუარე ღმერთი: უშვი-
 ლოთა შვილი, სნეულთა კურნებაჲ, ბრმათა თუალთა
 ახილვაჲ.

იყო ვინმე დედაკაცი ერთი სპარსი მოგვ², |რო- A748ა
 20 მელსა განბორებისა საღმობაჲ³ აქუნდა, და მოვიდა
 იგი წმიდისა |შუშანიკისა. ხოლო იგი ასწავებდა მას D208ბ
 რაჲთამცა დაუტევა მოგობაჲ იგი და იქმნა იგი ქრის-
 ტიანე.

ხოლო დედაკაცმან მან თავს იღვა აღრე-აღრე.
 25 და იგი ასწავებდა დედაკაცსა მას და ეტყოდა ვითარ-
 მედ «მივედ იერუსალსმად და განსწმიდნე განბორე-
 ბისა მაგისგან შენისა».

და მან გულსმოდგინედ შეიწყნარა და წარე-
 მართა გზასა მას სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ
 30 ქრისტესითა და განიკურნა იგი საღმობისა მისგან.

და ვითარ გარემოიქცა⁴ იგი სიხარულითა დი-
 დითა და მოიწია მუნვე, მოვიდა იგი წმიდისა შუ-
 შანიკისა მადლისა გარდაედად და წარვიდა სახიდ⁵ B178ა
 თვისა სიხარულით განმრთელგებული.

35 XII. ხოლო წმიდამან შუშანიკ ნაცვალად ქიქნა-

უხტისა¹ საქმისა დიდითა გულს, მოადგინებითა კელთა A748b
აღიხუნა² და ვითონი და მცირეთა დღეთა შემდგომად
ასერგასისნი³ იგი ფსალმუნნი დაისწავლნა, რომელ-
თა იგი დღე და ღამეც ზესკნელიისა⁴ მის მეუფისა D209a

5 მიმართ სათნოსა მას გალობასა შესწირვიდა ცრემლით.

და უთხრეს ნეტარსა შუშანიკს ვითარმედ «შვილ-
ნი იგი შენნი მიაქცინა მოგობასა».

მაშინ იწყო თაყუანისცემად ღმრთისა მიმართ ტი-
რილითა დიდითა და თავსა თვისსა ქუეღამარა⁵ სცემდა,

10 სულთ ითქუნა⁶ ღმრთელსა: «გმადლობ შენ, უფალო ღმერ-
თო ჩემო, რამეთუ იყვნესვე არა ჩემნი, არამედ შენნი
მოცემულნი იყვნეს! ვითარცა გნებაეს, იყავნ ნებაჲ
შენი, უფალო, და მე დამიცევ საქმეთაგან მტერისათა!»

და მე მივედ და ვიხილე წმიდაჲ შუშანიკ C126b

15 დამშრშალი⁷ და დაბუშებული⁸ ტირილითა. და, რამე-
თუ მოეძღუნა წმიდასა მას ეპისკოპოსსა საზრდე-
ლი* და ვითარ ფრიად ვაიძულე, მცირედ ოდენ გე-
მოჲ იხილა და ვმადლობდი ღმერთსა.

და ვიდრე მუნ ჟამადმდე მოვიდიან შვილნი იგი
20 მისნი ხილვად დედისა თვისისა; ხოლო რაჟამს მიაქ-
ცინეს და უვარ ყვეს ღმერთი, ვერღარა იკადრეს⁹
ხილვად მისა არამედ სახელქიცა მისი სძაგდა სმენად. B178b

XIII. და მერმე მოციქულნი მოაველინნა პიტია-
აშხმან და ჰრქუა: «ანუ ნებაჲ ჩემი ყავ და მოვედ

25 ტაძრად! უკუეთუ არა მოხვიდე შინა, ჩორდ წარგცე
შენ ანუ კარად კარაულითა!».

ხოლო წმიდამან შუშანიკ მიჰრქუა² ესრეთ:
«უბადოვო³ და უგულისხმოვო!⁴ ხოლო მე თუ კარად
ანუ ჩორდ წარმცე, ვინ უწყის თუ მუნ კეთილსა
30 რასმე შევემთხვო და ბოროტსა ამას განვერე⁵».

და გულსა ეტყოდა პიტიაშხი იგი სიტყუათა მათ-
თვს, ვითარ იგი ჰრქუა მას ვითარმედ «ვინ უწყის
თუ კეთილსა რასმე მივემთხვო⁶», ვითარმედ «ნუ უკუე
მთავართაგანსა ვისმე ეცოლოს!» და მიერთგან არღა-

35 რავინ მიაველინა მისა.

|ხოლო წმიდაა შუშანიკ ბოროტთა მათ გუე- S189
მათა და თმენათათჳს იტყოდა რაჲთამცა სათნო ეყო
ღმერთსა.

|ხოლო პიტიაშხმან გამოარჩია ძუძუჲისმტე⁷ მისი D210ა
5 საკუთარი რაჲთა მოიყვანოს იგი ტაძრად.

და ვითარცა ჰრქუა კაცმან მან: «ისმინე ჩემი
და ჩამოვედ ტაძრად და ნუ აოკრებ⁸ სახლსა მას
თქუენსა», ჰრქუა მას წმიდამან შუშანიკ: «არქუ მას
უღმერთოსა ვითარმედ შენ მომკალ და მარქუ მე:

10. ცოცხალითა ფერკითა არა გამოხვდე შენ მაგიერ⁹
ციხით! ხოლო აწ, უკუეთუ |შემძლებელ ხარ მკუ- B179ა

დარსა აღდგინებად, პირველად დედაა შენი აღად-
გინე რომელი ურდს¹⁰ დამარხულ არს. გარნა თუ
მისა ვერ შემძლებელ ხარ აღდგინებად, ვერცა ჩემდა

15 შემძლებელ ხარ განყვანებად, გარნა თრევით განმი-
თრო!

და ვითარცა მიუთხრეს |პიტიაშხსა სიტყუაჲ იგი C127ა
და მან თქუა: «ნანღვლვე ვთქუ ეგე!»

და მეორესა დღესა შემოვიწმევიდა¹¹ და ჰრქუა
20 წმიდასა შუშანიკს: «კეთილად მიუგე მას სიტყუაჲ
იგი რაჲმეთუ მაგით სახით ეგულვებოდა |შეტყუილი¹² D210ბ
შენი და მას სხუაჲ ზრახვაჲ გულსა მოეკადა სიბო-
როტისაჲ შენთჳს“.

წმიდამან შუშანიკ ჰრქუა მას: «და შენ ღმერთი
25 ძილსა შინა ნუ გგონიეს რომელმან განუშხადნის
სიტყუანი პირსა კაცისასა! რაჲმეთუ იტყვს თვთ უფა-
ლი: მე მიუგო სიტყუაჲ თქუენ წილ!».

XIV და ვითარცა აღივსებოდა მეექუსე იგი
წელი საპყრობილესა მას შინა, ჯეკმა¹ დამაშურა-
30 ლობითა² შრომათა მათ შინა სიმენისა მისისაჲთა
სენი სნეულებისა მოიწია მის ზედა რომელსა იგი
წინაჲსწარ უღალადებდი და ვეტყოდი ვითარმედ «ნუ
ჯეკმა, რაჲმეთუ დაუმძიმებ კორცთა მაგათ ზედა,
რაჲმეთუ ვერ დაგიტომონ და მერმე ვერლარა შემძლე-
35 ბელ იყო ყოფად რაჲსმე საქმედ კეთილსა ეგოდე-

ნითა მაგით ფიცხლად მარხვეითა და მარადის ზედგო- B179ბ
 მითა და ღამე ყოველ დაშრომითა, ფსალმუნებითა
 ლე გლოზითა». და არცაღა მცირედ სადა სცა კორცთა D211ა
 მისთა განსუენებაჲ და შეიქმნა და დადნა ვითარცა
 5 აელი³.

ხოლო დიდთა მათ მარხვათა აღვსებისათა ერგა-
 სისთა⁴ მათ დღეთა, ექუსთა წელთა შინა, არცა
 დღისი, არცა ღამს არა დაჯდის ქუე, არცა დაიძინის,
 არცა საქმელი რაჲ მიიღის, გარნა დღესა ხოლო კვრია-
 10 კესა ეზიარის კორცსა და სისხლსა ქრისტეს ღმრთისა
 ჩუენისასა; და მცირედ ოდენ წუენაკი მხლისა შექმნუ-
 ლი იგიცა მცირედ მიიღის, ხოლო პურისა გემოჲ
 არა იხილის ვიდრე აღვსებადმდე.

და მიერ დღითგან, ვინაჲთგან ჰყრობილ ყვეს
 15 იგი ციხესა მას შინა, სასთაულსა⁵ ზედა თავი არა
 მიღვის, გარნა ალიზაკი⁶ ერთი დაიდვის სასთუნალ⁷

და ქუესაგებელად იყო გირჯაკი⁸ ერთი ძუელი
 და კაცთა თუალსა სასთაულაკი⁹ ერთი ხალენისა¹⁰
 უცნ სასთუნლით კერძო.

20 და თაყუანისსაცემელად კილიკი¹¹ ერთი მცირს C127ბ
 ქუე წარუგდებიედ და გრწყილი და ტილი მოუგო- D211ბ
 ნებელი ადგილსა მას დასხმულ იყო.

ჟამსა ზაფხულისასა ცეცნლემბრ შემწუელი იგი B180ა
 მეურვალებაჲ მზისაჲ, ქარნი ხორშაკნი¹² და წყალნი
 25 მავნებელნი; რომლისა მკვდარნიცა მის ადგილისანი
 სავსენი სენითა, წყლითა განსივებულნი და განყვით-
 ლებულნი, დაწერტილნი¹³ და დამშრშალნი¹⁴ და
 დამღიერებულნი¹⁵, ჩარადოვანნი¹⁶, პირმსივანნი და
 დღემოკლედ ცხორებულნი; და მოხუცებული არა-

30 ვინ არს მათ ქუეყანათა.
 და ესეთსა მას ციხესა შინა ექუს წელ ჰყრო-
 ბილ იყო და მძიმეთა მათ საკრველთა შინა ადიდებ-
 და ღმერთსა.

XV. ღა ვითარცა მეშვდე წელი დადგებოდა,
 35 მოიწია წმიდისა და სამგზის სანატრელისა შუშანიკის

ზედა წყლულებზე¹ კორცთა მისთა და დაუცხრო-
მელად შრომათა მათ გამო დაუსიედეს ფერკნი მისნი S190
და თხრამლი² აღმოსდიოდ! ადგილდ-ადგილდ. D212a

და წყლულებანი დიდ-დიდნი იყვნეს და მატლიცა
5 დასხმულ იყო წყლულთა მათ, რომელ იგი აღილო კე-
ლითა თვისითა ღ მიჩუნებდა მე ღ ჰმადლობდა ღმერთსა.

და თქუა: «ხუცეს! ნუ მძიმე გიჩნ ესე რამეთუ
მუნ³ იგი მატლი უდიდეს არს და არა მოკუდების».

და მე, ვითარცა ვიხილე მატლი იგი, მოუგო-
10 ნებელად დიდად მწუხარე ვიყავ და ვტიროდე ფრიად. B180b

კუალად მრქუა მე რისხვით: «ხუცეს, რად მწუხარე
ხარ? ვიდრე უკუდავთა მათ მატლთა შექმისა უმჯობს
იყავნ ამათი მოკუდავთა შექმაჲ აქავე ამას ცხორებასა!»
და მე მიუგე და ვარქუ: «ძაძისა სამოსელი⁴ მცი-
15 რედლა შეგერაცხა საგუემელად და აწ მატლთა მა-
გათთვს მხიარულ ხარ?!»

და მან მრქუა მე ქენებით⁵: «ნუ ვის თანა იტყვ
ძაძისა სამოსლისათვს ცხორებასა ჩემსა რამეთუ
ადრე ყოფად არს დატევებაჲ უბადრუკთა ამათ D212b

20 ხორცთა ჩემთაჲ!»

რამეთუ შინაგან ძაძაჲ ემოსა და არაფინ იცო-
და ჩემსა გარეშე, ხოლო გარეგან კაცთა თუალსა
ანტიოქიისა პალეკარტი⁶ ემოსა. C128a

XVI. ღა ვითარცა ესმა ჯოჯიკს ვითარმედ მი-
25 ახლებულ არს ნეტარი დედოფალი წმიდაჲ შუშანიკ
სიკუდილად, წარვიდა და თანა წარიყვანნა ცოლი და
შვილნი და მონა-მკვეალნი¹ მისნი და მივიდა ციხედ
ხილვად სანატრელისა შუშანიკ მარტკლისა².

და ვითარცა მიიწია, მძლავრ შე-ხოლო-ვიდა³
30 და თაყუანის სცა პატიოსანსა ჯუარსა* და მოიკითხა
წმიდაჲ შუშანიკ, თანა დაუჯდა და ჰკითხვიდა სალ-
მობათა⁴ მათთვს.

ხოლო წმიდამან მან ჰრქუა: «კეთილ ვარ, ვითარ
ღმერთსა უნებს, არამედ ყოველთა წარსაყალსა მას
35 გზასა მეცა წარვალ!»

- |ხოლო ჯოჯიკ მსწრაფლ აღდგა ზედა, პირ- B181a
ველთა მათ უწესოთა საქმეთა აღუვარებდა და ეველ-
რებოდა წმიდასა შუშანიკს და ეტყოდა: „სძალო
და მკეველო |ქრისტსო! ითხოვე ღმრთისაგან რაათა D213a
5 მომიტევენს მე მრავალნი შეცოდებანი ჩემნი!“
- ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა მას: «თუ შენ
სხუად სახედ ყრმებრ არარაჲ ჰქმენ, ღმერთმან მო-
გიტევენს შენ!»
- და ჯოჯიკ ჰრქუა: „მაგის სახისათჳს მოვედ მე
10 შენდა რაათა, რომელი იგი არარაჲმე სათნოⁿ იყოს
ღმრთისა, არა ვქმნე“.
- წმიდამან შუშანიკ ჰრქუა: «უკუეთუ ეგე ეგრტთ
ყო შენ, უკუდავ მექმნე მე მაგით სიტყვთა და
ღმერთმან შესძინენ დღეთა ცხორებისა შენისათა».
- 15 და მერმე, ვითარ შეატყუა ჯოჯიკ ვითარმედ
მას დღესა განვალს წმიდაჲ იგი კორტთა ამათგან,
ჰრქუა: «მაკურთხე მე და ცოლი ჩემი მკეველი შენი
და შვილნი ჩემნი და მონა-მკეველნი ჩემნი! და, თუ
რაჲმე შეგცოდეთ ვითარცა კაცთა საწუთროჲსათაⁿ
20 და სოფლის მოყუარეთა, შოგვტევენ და ნუ მოიკ-
სენებ მედგრობათა⁷ ჩემთა!»
- |ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა ჯოჯიკს და D213b
ცოლსა მისსა: «ჰყავთ წარმდებად⁸ საქმს ესე ჩუენი
რაჲმეთუ არავინ იპოვა კაცთაგანი რომელსამცა აქუნ-
25 და წყალობაჲ და ტკივილი ჩემთჳს, რომელმანცა B181b
შეაჯერა უღმრთოსა მას საწუთროჲსა მეუღლესა».
- ხოლო მათ ჰრქუეს: „ჩუენ თჳნიერ“ შენსა | C128b
ფრიად დავშუერით გარნა არა იყო სმენაჲ, არცა
სიტყუაჲ“.
- 30 მაშინ ჰრქუა წმიდამან შუშანიკ: «განვისაჯნეთ
მე ლ ვარსქენ პიტიაშხი მუნ, სადა იგი არა არს თუალთ-
ლებაჲ¹⁰, წინაშე მსაჯულისა მის მსაჯულთასა ლ მეუფისა
მის მეუფეთასა! სადა არა არს რჩევა¹¹ მამაკაცისა და
დედაკაცისა, სადა მე და მან სწორი სიტყუაჲ ვთქუათ
3:5 წინაშე ღმრთისა ჩუენისა იესუ ქრისტსა! შიავოს

მას უფალმან, ვითარ მან უყამოდ ნაყოფნი ჩემნი მოსთულნა¹² და სანთელი ჩემი|დაშრიტა¹³ და ყუა- S191
ვილი ჩემი დააქნო და შუენიერებაჲ სიკეთისა ჩემი-
საჲ დააბნელა და დიდებაჲ ჩემი დაამდაბლა! და

5 ღმერთმან საჯოს მის შორის და ჩემ შორის! ხოლო მე აწ ამას ვჰმადლობ ღმერთსა რაჲმეთუ ტანჯვითა მისითა მე ღწინებაჲ ვპოვო და გუემათა და თრე-
ვათა მისთათს მე განსუენებასა მივემთხვო და უგუ-
ლისხმობისა და უწყალოებისა მისისათს მე წყა-
10 ლობასა მოველი იესუ ქრისტს მიერ უფლისა ჩემისა!»

ხოლო იგინი ამას ყოველსა ზედა სიტყუასა მისსა ტიროდეს მწარედ და ჰრქუეს: „მოგვტევენ ბრალნი ჩუენნი და გუაყურთხენ, წმიდო მოწამეო და|მარ- B182ა
ტვლო სანატრელო ქრისტს ღმრთისაო!“

15 ხოლო წმიდამან შუშანიკ ქრქუა: «ღმერთმან მოგიტევენინ რომელ რაჲ იგი ჰყავთ!» მაშინდა აყურთხნა ჯოჯიკ და ცოლი და შეილნი მისნი და მონა-მკეველნი მისნი და ყოველი ეზოჲ და პალატი¹⁴ მისი და ამცნებდა სლვად გზათა ღმრთისათჲ და
20 ეტყოდა ვითარმედ «ესე ყოველი ცხორებაჲ ვითარ-
ცა ყუავილი ველთაჲ წარმავალ არს და დაუდგრო-
მელ, და ვინ სთესა—მოიმყო და ვინ განაბნია გლა-
ხაკათათს — შეიკრიბა და რომელმან წარიწყმიდოს
თავი თვისი მან პოოს იგი რომელმან აღიდა იგი!»

25 და უჯმნნა¹⁵ და გამოგზავნნა იგინი მშვდობით.
XVII. მერმე, შემდგომად ჯოჯიკისა, მოიწია თავი იგი ეპისკოპოსთაჲ სამოველ¹ და იოვანე ეპის-
კოპოსი მისივე მოყუასი² რომელ იგი იყენეს განმა-
მტკიცებელ და დიდად დამაშურალ, სახლეულითურთ
30 თანაყოფით იყენეს|მონა და მონაწილე იყენეს და C129ა
თანაზიარ შრომათა მისთა; მადლობით წარგზავნი-
დეს ნავთსადგურისა მის მიმართ ქრისტსისა.

მსგავსად მისევე სახისა აზნაურნი დიდ-დიდნი და ზებურნი დედანი³, აზნაურნი და უაზნონი⁴ სოფ-
35 ლისა ქართლისანი მოვიდეს. ეგრესთვე, რომელნი D215ა

იგი გულსმოდგინებით შიონაწილე ყოფილ იყვნეს B182
შრომათა მათ მისთა სანატრელობით, ვითარცა ახო-
ვანსა⁵ მკენსა მიჰვედრიდეს ქრისტესა.

და თხოვასა ერთსა ითხოვდეს მისგან ყოველნი
5 იგი ეპისკოპოსნი და აზნაურნი ერთბამად⁶, რაათა
ბორკილი იგი ფერკთაჲ ბრძანოს საცოდ და ნაკურთ-
ხევად ყოველთათვის.

რომლისათვისცა ჰრქუა წმიდამან შუშანიკ ვი-
თარმედ «მე რაჲ ვარ, არალირსი ესე! ხოლო ღმრთის-
10 მოყუარებისა თქუენისათვის ხუცესმან აღავსენ⁷ წადი-
ლი თქუენი მაგის სახისათვის. ხოლო მე რაჲმე რაჲ
შემძლებელ ვარ? არამედ ყოველად სავესმან ქრისტე-
მან აღვავესენინ თქუენ ყოვლითა კეთილითა რო-
მელნი ესე ჩემთვის მოშუერიით⁸ და ეზიარენით ვნე-

15 ბათა ამათ ჩემითა და ქირთა და ტანჯვათა. ხოლო D215ბ
მე, საყუარელნო, აჰა ესერა⁹ წინაგანმზადებულსა
მას ჩემდა გზასა წარვალ საუკუნესა! ქირისა ამის
წილ ჩემისა ქრისტემან მომბადლოს მე სიხარული,
სატანჯუელთა ამათ წილ განსუენებაჲ, გუემათა ამათ
20 ჩემთა და თრევათა და შეურაცხებათა—მივემთხოვო მე
დიდებასა და პატივსა ცათა შინა დაუსრულებელსა!»

და იგინი ჯმნულნი¹⁰, ცრემლითა სავესენი, ძლე-
ვისა მისთვის დიდებასა ღმრთისა მიმართ შესწირვი- B183ა
დეს და გამოვიდეს ციხით და წარვიდეს.

25 XVIII. ღა მოიწია დღე იგი წოდებისა მისი-
საჲ. და მოუწოდა ეპისკოპოსსა მისისა სახლისასა
აფუტს და მადლსა მისცემდა მისა მიმართ მოწლე-
ბისა¹ მისისათვის ვითარცა მამასა და მამამძღძესა²;
შემვედრა³ მე|კაცი ცოდვილი და გლახაკი ესე; და D216ა
30 |შეჰვედრებდა ნეშტთა⁴ მათ ძუალთა მისთასა და C129ბ
უბრძანებდა დასხმად ადგილსა მას, ვინაჲცა⁵ იგი
პირველ გამოითრიეს, და ეტყოდა:

«უკუეთუ ღირს რაჲმე ვარ უკუანაჲსკენელი ესე
მეათერთმეტე მოქმედი ვენაუისაჲ, იყვენით ყოველნი

35 კურთხეულ უკუნისამდე ეამთა!» და ჰმადლობდა

ღმერთსა და თქუა: «კურთხეულ არს უფალი ღმერთი ჩუენი რაჲმეთუ მშუდლობით მას ზედა დაეწევე და დავიძინე!» და შეპყვდრა სული | თვისი უფალსა ყოველთა შემწყნარებელსა. S192

5 XIX. ჳა მაშინლა ადრე-ადრე მოილო სანატრელმან მან ეპისკოპოსმან იოვანე შესაგრაგნელად¹ მჩუარი წმიდაჲ წმიდათა მათ და პატიოსანთა ნაწილთა მისთა.

10 და ეგრტო სხუათა მათ აღვლეთ გუამი იგი ფრიად | დამაშურალი ჳ დაქმული მატლთა და განვჰბანეთ იგი მატლისა მისგან მიწოვანისა² ჳ თხრამლისაგან³ და შევჰმოსეთ მჩურითა მით. D216b B183b

15 და მაშინლა ეპისკოპოსთა მათ ორთავე იოვანე და აფუტ ვითარცა კართა მკნეთა დაუღლოვითა ზესკნელისა მის ფასისათა ყოვლით კრებულითურთ ფსალმუნითა სულიერითა და კეროვნითა⁴ აღნთებულითა და საკუმეველითა სულნელითა აღვიხუენით⁵ პატიოსანნი ძუალნი და გამოვიხუენით⁶ წმიდასა მას ეკლესიასა.

20 და დავჰკრძალენით წმიდანი იგი და დიდებულნი და პატივეცემულნი ნაწილნი წმიდისა შუშანიკისნი განმზადებულსა მას ადგილსა. და მას ღამესა ანგელოზთა სახედ ღამს იგი განვათიეთ და დავითის ქნარითა მით ყოვლადლიერსა ღმერთსა და ძესა D217a

25 მისსა უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა ვადიდებდით, რომელი ყოვლითა ყოველთა მიმართ შემძლებელ არს და განაქუელნის⁷ მამანიცა და დედანიცა და თვისთა მათ თვისი იგი ძლიერებისა ძლევაჲ მიჰმადლის ყოველთა რომელნი ეძიებენ მას ერთითა გულითა.

30 XX. ჳა არს დასაბამი ტანჯვათა მათ წმიდისა შუშანიკისათაჲ თთუესა აპნისისასა¹, მერვესა თთვასასა და დღესა ოთხშაბათსა². და მეორედ გუემაჲ მისი შემდგომად აღესებისა ზატკისა³, დღესა ორშაბათსა. C130a

35 | და კუალად ტანჯვაჲ ვარდობისა თთუესა⁴ ათცხრამეტსა. ჳ აღსრულებჲა მისი—თთუესა ოკდონ-

ბერსა ათშვიდმეტსა, საკსენებელსა წმიდათა მათ და
სანატრელთა მოწამეთა კოზმან და დამიანსთა.⁵

და დღს ხუთშაბათი იყო რომელსა განვაწე-
სეთ საკსენებელი წმიდისა შუშანიკისი⁶ სადიდებე- D2178
5 ლად და საქებელად ღმრთისა მამისა და ძისა და
სულისა წმიდისა რომლისაჲ შეუენის დიდებაჲ უკუ-
ნითი უკუნისამდე. ამენ!

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი:

შ ე ს ა ვ ა ლ ი

* «და აწ დამტკიცებულად გითხრა თქვენ» და სხვანი. ეს პატარა მიმართვა ერთგვარს შესავალს წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომისას. ამბავს მოგეითხრობს, როგორც ქვემოთ ტექსტიდანვე გავიგებთ, შუშანიკის მოძღვარი იაკობ ხუცესი—პირველი ქართველი მწერალი რომლის სახელმა და ნაწარმოებმა ჩვენამდე მოაწია.

«გითხრა თქვენ», ხოლო ცოტა ქვემოთ: «ეს მივწერე თქვენდა». ეს სიტყვები ნათლად გვიჩვენებს რომ იაკობ ხუცესის ნაშრომი ეპისტოლის (წერილის) სახითაა დაწერილი და მიმართულია ვიღაც სპატიო პირისადმი (შესაძლოა კათალიკოზისა ან რომელიმე მთავრისადმი) რომელიც ალბად იმავე დროს ამ თხზულების დაწერის ინიციატორიც (შემკვეთელი) უნდა ყოფილიყო, როგორც იყო მაგალითად მე-VIII-ე საუკუნეში სამოველ კათალიკოზი იოვანე საბანის ძისათვის აპო ტფილელის „წამების“ დაწერის საქმეში.

ეპისტოლე ნაანდერძვე ტექსტში იწყება კავშირითა და ზმნისსართით: „და აწ“, ხოლო ცოტა ქვემოთ წმ. შუშანიკის შესახებ ავტორი ამბობს რომ იგი იყო „მოშიში ღმრთისაჲ, ვითარცა იგი ვთქუთ, სიყრმიტგან თვისითა“, რაჲც ცხადპყოფს რომ ნაანდერძვე ტექსტს თავში რაღაც აკლია. ვგონებ არ შევცდებით თუ ვიფიქრებთ რომ ეპისტოლის თავში მოთავსებული უნდა ყოფილიყო მიწერ-მოწერა ავტორსა და იმ პირს შორის, რომელსაც შუშანიკის „წამების“ აღწერა შეუკვეთია, მსგავსი იმ მიწერ-მოწერისა რომელსაც ვხედავთ მაგალითად იოვანე საბანის ძის თხზულების დასაწყისში („წამებაჲ წმიდისა ჰაბოუასი“). იმ მიწერ-მოწერაში ალბად გაკვრით აღნიშნული ყოფილა შუშანიკის მთავარი ღირსება („ღმრთისმოშიშებაჲ“). მაგრამ ის მიწერ-მოწერა შემდეგ, როგორც ჩანს, დაკარგულა ან რედაქტორს საჭიროდ აღარ დაუნახავს მისი შემოტანა თავის ვრცელს კრებულში (=საეკლ. მუზეუმის ხელნაწერი № 95=А). ამავე რედაქტორს უნდა ეკუთვნოდეს ტექსტის დღევანდელი სათაურიც: „თთუესა ოკლონბერსა. იხ. წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“.

თ ა ვ ი 1-ე ლ ი

1. «მერვესა წელსა სპარსთა მეფისასა კარად სამეფოდ წარემართა ვარსკენ პიტიაშხი ძპ არშუშაასი». აქ დასახელებული არშუშა, როგორც სომხის ისტორიკოსი ლაზარე ფარპელი მოწმობს, ყოფილა «ქართლისა პიტიაშხი» („პიტიაშხი“ სპარსული სამოხელეო სახელი იყო რომელსაც განაპირა პროვინციების სამხედრო მმართველები, მეფისნაცვალნი, ატარებდნენ), თანამედროვე სპარსეთის მეფის იეზდიგერდ მე-11-ისა (439--457 წ.); ხოლო მისი შვილი ვარსკენი—სპარსეთისავე მეფის ბეროზის ანუ პეროზის (459--484 წ.)

თანამედროვე იყო და მისსავე მეფობაში („ოც და მეხუთე წელს“) მოიკლა ქართლის მეფის ვახტანგ I-ელისაგან (იხ. ივ. ჯავახიშვილის „ქართველ ერის ისტორია“ I, გვ. 185 და 229. შეადარეთ ჩვენი „წერილები საქართველოს ისტორიიდან“ ნაწ. II, გვ. 99). ცხადია მაშასადამე რომ ჩვენი ტექსტის სიტყვები «მერვესა წელსა სპარსთა მეფისასა» პეროზ-მეფეს გულისხმობს (მისმა წინამოადგილემ ჰორმუზდმა მარტო ორ წელს იმეფა 457—458 წწ.); და ამგვარად ჩვენი მოთხრობის დასაწყისი ეკუთვნის პეროზის მეფობის „მერვესა წელსა“: 453—8 ანუ 466 წელს.

2. «ასული ვარდანისი სომეხთა სპაჰპეტისაჲ». სპაჰპეტი ანუ სპასპეტი—მხედართმთავარი, ჯარების უფროსი. აქ დასახელებული ვარდან სომეხთა სპასპეტი, შუშანიკის მამა, ცნობილი საისტორიო პირია, მამიკონიანთ საგვარეულოდან, სომეხთ კათალიკოზის სააკ დიდის შვილიშვილი (იხ. *Исторія Арменіи Монсея Хоренскаго. Пов. перев. Эммина. Москва. 1893 г., стр. 196—199; 206; 209; 211*).

3. უბადრეკი—უბედური, ყოველგვარს ცხოვრების სიკეთეს მოკლებული.

4. «თაყუნის სცემდა ცეცხლსა». ქრისტიანობამდე ბევრით ადრე ჩვენს წინაპრებს შეთვისებული ჰქონდათ სპარსელებისაგან მაზღეიანობა ანუ ზოროასტრის რელიგია რომლის განუყრელ ატრიბუტს შეადგენდა ცეცხლის თაყუნისმცემლობა: ცეცხლი ქვეყნიურ სიმბოლოდ ითვლებოდა ზეციერის ნათელის ღმერთის აპურამაზდისა ანუ არმაზისა. ქრისტიანობის გამარჯვების შემდეგ ჩვენში ცეცხლის თაყუნისმცემლობა დიდ განსაცდელში ჩავარდა. ამას კარგად ხედავდნენ სპარსეთის შაჰები და ყოველ ღონეს ხმარობდნენ—მაზღეიანობა საქართველოში შეემაგრებინათ: მე-V-ე და მე-VI-ე საუკუნეში მაზღეიანობისა და ქრისტიანობის ბრძოლამ სომხეთსა და საქართველოში უმწვერვალესობამდე მიაწია, განსაკუთრებით ვახტანგ I-ელის მეფობის პირველ ნახევარში (ივ. ჯავახიშვილის—„ქართვ. ერის ისტორია“ I, გვ. 234—237. შეად. ჩვენი „წერილები საქართველო ისტორიიდან“ II, გვ. 95—96). სწორედ ამ დროს ეკუთვნის ვარსკენ-პიტიაშხის მიქცევა მაზღეიანობისადმი

5. «სათნო ეყო»—კეთილად მიეჩნია; სათნოყოფა—კეთილად მიჩნევა; სათნო—სასიამოვნო, კეთილად მისაჩნევი.

თ ა ვ ი მ-II-ე

1. «იუჰმნა პიტიაშხმან»—გამოშორდა, გამოეცალა, გამოესალმა; ჯმნა—ვაცლა, განშორება, გამოსალმება.

2. «საზღვართა ქართლისათა, ქუეყანასა მას ჰერეთისასა». ამ ფრაზიდან აშკარად ჩანს რომ „ქუეყანაჲ ჰერეთისაჲ“ ქართლის სამეფოს საზღვრებში ყოფილა მოქცეული. მართლაც «ჰერეთი» საქართველოს აღმოსავლეთის ერთ-ერთი განაპირა კუთხე იყო (იხ. ჯავახიშვილის „ქართველ ერის ისტორია“ ნაწ. II, გვ. 305—310), როგორც თვით ჩვენი ძეგლის ტექსტიდან ჩანს, ადგილი ფრიად ცუდპავიანი, ციებ-ცხელებიანი და ძნელგასაძლისი (იხ. ტექსტი თავი XIV).

3. დიასპანი ანუ დესპანი—მოციქული; სადიასპანო—სადესპანო, მოციქულის შესაფერისი.

4. „დაბა“—იმ დროს უღრიდა დღევანდელ „სოფელს“.

5. ცურტავი—ეს სოფელი, როგორც ჩანს, ჰერეთში მდებარეობდა, მაგრამ ნიშანდობლივად სად იყო—არ ვიცი (იხ. ჯავახიშვილი—ქართვ. ერის ისტორია, წ. II, გვ. 307--308). როგორც „წამების“ ტექსტიდანაც ჩანს, ცურტავში იმ დროს საეპისკოპოსო კათედრა ყოფილა რომელიც აფუტ ეპისკოპოსს სპერია. შემდეგს საუკუნეებში ამ ეპარქიამ თვალსაჩინო როლი ითამაშა ჩვენი ეკლესიის ისტორიაში (იხ. იქვე წ. I, გვ. 247—248).

6. „კითხვაჲ ჰრქუა“—მოკითხვა მოახსენა, მოკითხა.

7. ცხოველი—ცოცხალი.

8. კადრება—შებეღვა, გაბეღვა. «ვერ იკადრა სიტყუად მისა»—ვერ გაუბეღა თქმა.

9. არტოშანი (ფალაურად „ატრუშან“) —ცეცხლის ტაძარი ანუ საცეცხლე; ცეცხლს იმ დროს თაყვანსა სცემდნენ სპარსელები და ქართველების მცირე ნაწილი (იხ. ზემოთ თავი I, შენიშვნა 4).

10. ტაძარი—ეს სიტყვა შუშანიკის „წამებაში“ მუდამ აღნიშნავს სასახლეს და აქა „საუფლო (სამლოცველო) სახლს“ რომელსაც იქ ბერძნული სახელი „ეკლესია“ ეწოდება.

11. მუნ—იქ.

თ ა ვ ი მ-III-მ

1. ვანი—სადგომი, ბინა, სახლი.

2. მყის—სწრაფად, ერთწამს.

3. ვიჯმენ—გავეცალე, გავეშორდი (იხ. ზემოთ II, 1).

4. სრსკლი—ხორცისმკვამელი სნეულდება, რომელსაც დღეს „კუ“-ს ანუ „კიბოს“ ვეძახით (შეად. 2 ტიმოთ. 2, 17).

5. ხელნაწერში ეს სიტყვა ორად არის გაყოფილი: „ხუაშიად აღრე“ რაჲც აზრს აბუნდოვანებს. ჩვენ გვგონია აქ ერთი სიტყვაა და ერთად დავბეჭდეთ: „ხუაშიადაღრე“ რომელშიაც ბოლო მარცვალი „რე“ ცნობილი სიტყვაა, რომელიც ნიშნავს „სახეს“, მაგალითად სიტყვებში: „ერე“, „ასრე“ (ამ—სახით). „ხუაშიადი“ ან „ხვაშიადი“—დაფარული საქმე, გულისპასუხი; აქედან „ხუაშიადაღრე“—დაფარულად, საიდუმლოდ, ე. ი. საიდუმლოს სახით.

6. „უწყოდი და აღწერო“: „უწყოდე“—გუწყოდე, ვიცოდე.

7. განყენება—განშორება, მოცილება. „განყენენ“—განშორდენ, მოცილდენ ერთმანეთს.

თ ა ვ ი მ-IV-მ

1. ზრახვა—რჩევა, დარიგება, ჩაგონება.

2. ზაკუვაჲ—ცბიერება, პირში მიფერება ბოროტის განზრახვით.

3. შემთხვევა—წინ შეხვედრა. «სიხარულით შეგვმთხვნა»—სიხარულით შეგვხვდა, მიგვიღო.

4. „კელმწიფება“ და „კელი“ ნიშნავს უფლებას; «რამესა კელ იწიფა»—რისთვის მისცა თავისთვის უფლება, როგორ გაბედა.

5. ხატი—პირისახე, სახე. მაგრამ შესაძლოა ეს სიტყვა აქ უუძველესის მნიშვნელობით იყოს ნახმარი, სახელდობრ ნიშნავდეს „ღვთაებას“, „ღმერთს“ (იხ. ნ. მარის: О религиозн. въроманіяхъ архаизовъ, стр. 125—127. მისივე: Кавказовѣдѣніе и архаизекіи тавыхъ, стр. 25), „სალოცავ სიწმიდეს“. ამას განსაკუთრებით გვაფიქრებინებს ესევე სიტყვა შუშანიკის პასუხში ცოტა ქვემოთ: „არაფთუ მე აღმემართა ხატი იგი და მემცა დავამხუ. ხოლო მამამან შენმან აღმართნა სამარტკლენი და ეკლესიანი აღაშპნნა და შენ მამისა შენისა საქმენი განპრყუნენ... მან ღმერთი ცათაჲ და ქვეყანისაჲ აღიარა და პრწყმენა, ხოლო შენ ღმერთი ქემმართი უვარ ჰყავ და ცეცხლსა თაყვანის ეც“ და სხვანი. აშკარაა, თუ ვარსკენი არა, შუშანიკი მაინც თავის პასუხში „ხატს“ ამ მეორე (სალოცავი სიწმიდის) მნიშვნელობითაც ჰგულისხმობს.

6. სამარტკლპ—მოწამეთა (მარტკლთა) სამარხი. მარტკლი—სარწმუნოებისათვის ტანჯული, მოწამე.

7. შემოხუმა—შინ მიღება, შემოყვანა.

8. სახიდ—შინ, სახლში.

9. დვენი—ბოროტი არსებანი რომელიც, მაზღვიანობის (ზოროასტრის სარწმუნოების) მიმდევართა წარმოდგენით, სიბოროტისა და სიბნელის ღმერთს არიშანს ახლდენ და ემსახურებოდენ (იხ. ჩვენი „საქართველოს ისტორია“ მეორე გამოცემა, გვ. 37—38). როგორც ნაშთი ჩვენი ხალხის ძველი რწმენა-შეხედულებისა დვეი დღესაც ცოცხალია ზეპირსიტყვაობაში (ზღაპრებში და არაკებში).

10. ბრდღუნა ანუ ბრდღინვა—გაბრაზებით ყვირილი, ღრიალი და ტოტით მიწის თხრა (როცა მხეცზე იტყვიან).

თ ა ვ ი მ ე-V-ე

1. „განჩინებაჲ“—აქ ეს სიტყვა ჰნიშნავს გამოჩინებას, სახელის განთქმას.

2. წარწყმედა—დაკარგვა, დაღუპვა.

3. თანამდები—მოვალე.

4. ურვა, ურვება—წუხილი, შეწუხება, შეხვეწა.

5. ევანგელს—ბერძნული სიტყვაა «ევანგელიონ»=საზარება. ჩანს იაკობ ხუცესის დროს ქართველთა შორის ჯერ კიდევ საზარების ბერძნული სახელი ყოფილა ხმარებაში.

6. იხ. ზემოთ შენიშვნა 10, თავი მე-II-ე.

7 და 8. გალიაკები (გაპიაკი) და სენაკები იმ დროინდელ სასახლეებში (=„ტაძრებში“) სხვადასხვა ოთახებს ეწოდებოდა. სენაკები იყო დიდიცა და მცირეც. დიდებულის აზნაურ-მოხელის ცოლს იმ დროს საკუთარი სენაკი

ჰქონია რომელსაც, როგორც ჩანს, გალიაჲი რქმევია (შეად. ივ. ჯავახიშვილის: „ქართვ. ერ. ისტორია“ I, გვ. 233). მაგრამ „სენაკი“ ცალკე პატარა სახლსაც ეწოდებოდა, მაგალითად ეკლესიის ეზოში.

თ ა ვ ი მ-V'-ი:

1. შექწუხრება—შელამება.
2. უზმაჲ, უზმოჲ—უტყველი.
3. ძლით—ძალით.
4. დათხვეაჲ—დაღვრა, დაქცევა.
5. ასტამი—ცომის ასაფხვეჲი ტაროანი ბრტყელი რკინა.
6. მჯილი—მუშტი.
7. გუემა, გვემა—ცემა.
8. „პირით“ ე. ი. გაპირვებით, დიდის წვალებით.
9. ქუეყანაჲ—მიწა. იმ დროს ეს სიტყვა ნიშნავდა მხოლოდ დედამიწას. ეტყობა—იმ ოთახს, სადაც აქ აღწერილი სცენა ხდებოდა, მიწის იატაკი ჰქონია.
10. დაცხრომაჲ—დაუჩრება, დამშვიდება. „და-რე-სცხრა“—თითქოს დამშვიდდა.
11. განტყეებაჲ—გაშვეება, განთავისუფლება.

თ ა ვ ი მ-VII-ი:

1. ცისკარი—განთიადი.
2. წყლულებაჲ—ტრილობა, იარა.
3. განრინებაჲ—გადარჩენა, მორჩენა. განსარინებელი—გადასარჩენი, მოსარჩენი.
4. „დაკრეებაჲ“—გაკვირება, გაოცება.
5. აქ კი ეს სიტყვა მხოლოდ „სახეს“ აღნიშნავს (შეად. ზემოთ თავი IV, შენიშვნა 5).
6. დასაბაჲ—დასაწყისი.
7. სალბუნი—მალამო.
8. ამ სამოველის შესახებ იხ. უფრო დაწვრილებით ქვემოთ თავი XVII, შენიშვნა 1-ელი.
9. „ძალ მიც“=ძალ მიძს, შემიძლია.
10. შთამუსრელი—ჩამტვრეული.
11. „უწესს“—უძახის; „მიწესს“—მიძახის (საბა); ვუწეს—ვეუძახი, ვუხმობ. წესა—მოხმობა, დაძახება.
12. ჰონები ანუ ჰუნები ცნობილი მეომარი ხალხი იყო, რომელიც იმ დროს მთელს განათლებულ კაცობრიობას (კერძოდ სპარსეთს) თავზარსაც სცემდა. სხვათაშორის ამ ჰონებთან ბრძოლაში მოიკლა ვარსკენის მფარველი მეფე სპარსეთისა პერდზი.
13. განკათეაჲ—მოჭრა, მოწყვეტა.
14. გებაჲ—ყოფნა, არსებობა. „გებული“—არსებული, რაც არის უკლებლად.

თ ა ვ ი მ ე - VIII - მ :

1. სარკუმელი—სასინათლო, ფანჯარა.
2. „დაყოფა“—ამ სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს; აქ კი იგი აღნიშნავს დაცობას, დახურვას, ამოკავენას. „დაყო სარკუმელი“—ფანჯარა ამოაკავე, დაბურა ანუ დახურა და გააუქმა.
3. აღესებაჲ—აღდგომა ანუ საქრისტიანო პასეკი (იხ. დეკ.-კ. კეკელიძე: Литургич. ерға. намятников..., стр. XXI და შეად. მისივე: Терусалимский канонарь VII вѣка, стр. 324 სიტყვა „აღუსებაჲ“).
4. კუერთხი—ჯოხი.
5. ძეძვ--ეკლიანი მცენარეა, ბუჩქებად იზრდება.
6. კუბასტი--ამ სიტყვას საბა ორბელიანი „ლეჩაქის“ მნიშვნელობით განმარტებს. მაგრამ ესევე სიტყვა ნახმარია „საქმე მოციქულთა“ წიგნში (თავი 9, მუხლი 39), სადაც მის საბადლოდ რუსულ თარგმანში ზის სიტყვა „Пшеница“, ხოლო ფრანგულში: „seigneur“ (იხ. La Sainte Bible, თარგმანის ლეი სეგონდისა. პარიზი 1910).
7. დაბძარვაჲ—დაგლეჯა.
8. ურჩულოჲ—ურჯულო. რჩული—რჯული.
9. სენაკაპანი—სასახლეში („ტაძარში“) სადღეოდლო ან სამეფო ოთახების („სენაკების“) განსაკუთრებული მეთვალყურე. სომხ.: „სენეკაპან, სენეკაპეტ“—კამერგერი.

თ ა ვ ი მ ე - IX - მ :

1. სივლტოლაჲ—გაქცევა, სირბილი.
2. უკამური—ურიგო, შეუფერებელი.
3. დაბურვაჲ—დახურვა.
4. მკედრ—ცხენზე მჯდომი, ცხენდაცხენ.
5. ამბოხი—არეული ხალხი, ბზბო.
6. იაკედეს—იკაწრადენ, იხოკდენ. „იაკევა“—ეს სიტყვა დღესაც ცოცხალია ქართულ მთიელებში ამავე მნიშვნელობით.
7. ლაწუნი—ლოყები.
8. ჯმნული—განწორებული (იხ. ზემოთ თ. II, შენ. 1).
9. მეოტი—გაქცეული, გადახვეწილი. ოტება—გადახვეწა, გაქცევა.
10. „მუნ“—„იქ“, იგულისხმება საიქიო ცხოვრება.
11. სიყმილი—შიშხილი.

თ ა ვ ი მ ე - X - მ :

1. გგლის—გეზრუნების, გრჯის. «ნურარაჲ გგლიან»—ნურა გრჯის რა. ნურას ზრუნავ.
2. ძნიად—ძნელად, გაჭირვებით.
3. ტარიგი—კრავი, სამსწვერპლო ბატკანი.
4. სძალი—საცოლო, საპატარძლო.

5. ვანი—იხ. ზემოთ III, 1.

6. ჩორდი.—დაბა უნდა ყოფილიყო, მაგრამ არა ჰერეთში არამედ ჰერეთის საზღვრების გარეთ. ამას გვაფიქრებინებს თვით მოთხრობის მიმდინარეობა: ჩორდს მიმავალს ვარსკენს მისი ძმა ჯოჯოკი მიეწევა „საზღვართა ჰერეთისათა“ და სთხოვს შუშანიკის შესახებ. (იხ. ამის შესახებ კიდევ ქვემოთ თავი XIII, შენ. 1).

თ ა ვ ი მ-XI-მ:

1. უემდა—ესაპიროებოდა, შეეფერებოდა.

2. „მოგვ“. ზოროასტრის რჯულის სამღვდლოებას „მოგვები“ შეადგენდენ; აქედან ამ რჯულის დანარჩენ მიმდევართაც, როგორც ჩანს, ჩვენში ძველად „მოგუებს“ უწოდებდენ: „ღედაკაცი ერთი სპარსი მოგვ“. მცხეთაში იმ დროს მოგვებს საკუთარი უბანი ეპირათ. რომელსაც „მოგუეთაჲ“ ეწოდებოდა: „მოგუნი მოგუეთას მოგობდეს ცეცხლისა მსახურებასა ზედაო“ მოგვითხრობს ქრონიკა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ (ე. თაყაიშვილი: Описание... II, стр. 721).

3. „განბორებისა საღმობაჲ“. საბა ორბელიანი პირველ სიტყვას ასე განმარტებს: „განბორება—კეთრის სნეულება“. ხოლო „საღმობაჲ“—„სატკივარს“ ნიშნავს.

4. გარემოქცევა—შემობრუნება, უკან წამოსვლა

5. „სახილ“—იხ. ზემოთ თავი IV, შენ. 8.

თ ა ვ ი მ-XII-მ:

1. „კვიპნაუხტი საქმს“. სიტყვა „კვიპნაუხტი“ ჩვენთვის გაუგებარია. ორი ხელნაწერი (CE) ამ სიტყვის ნაცვლად სწერს სიტყვას „სასწაული“, მაგრამ არა გეგონია ეს უკანასკნელი პირველის შესატყვისი იყოს. შესაძლოა ამ სიტყვას კავშირი ჰქონდეს სომხურ სიტყვასთან „კაპანავუხტი“ რომელიც ნიშნავს: ზრწყინვალეს, მრავალფეროვანს, კრელს.

2. აღხუმაჲ—აღება.

3. „ერგ“ ძველი ქართული სიტყვაა (რომელიც დღევანდელ სვანურში ცოცხალია) და ნიშნავს „ნახევარს“; აქედან „ერგ-ასი“ ჰნიშნავს „ნახევარ ასს“ ანუ ორმოცდაათს, ხდლო „ას-ერგ-ასი“ იქნება „ას ორმოცდაათი“ (150). მართლაც, როგორც ვიცით, „დავითნში“ 150 ფსალმუნია.

4. ზესკნელი--ცის ზემოთი ადგილი, ზეცა.

5. ქუედაპართ—ძირს, დედამიწაზე.

6. „სულთ ითქუნა“—ამოიხვნეშა, ამოიოხრა. სულთთქუმაჲ—ამოხვნეშა, ამოიხვრა.

7. „დამშრშალი“—გამშრალი და უზომოდ დაღლილ-მოწყვეტილი (შეად. ქვემოთ-XIV, 14).

8. დაბუშებული—დაბუეებული, ძარღვებში სისხლშეყენებული.

* ამ სიტყვით თავდება შუშანიკის „წამების“ უძველესი ხელნაწერის (A) ტექსტი და ქვემოთ იბეჭდება დანარჩენი ხელნაწერებიდან (მაგრამ ამის შესახებ იხ. „ვარიანტებში“).

9. „ვერლარა იკადრეს“—ველარ გაბედეს (იხ. ზემოთ თავი II, შენ. 8).

თ ა ვ ი მ- XIII-ე:

1. „უკუეთუ არა მოხვიდე შინ, ჩორდ წარგუც შენ ანუ კარად კარაუ-ლითა». კარაული—სახედარ ვირს ნიშნავს; და, როგორც ჩანს, ვარსკენი შუ-შანიკს ვირით წარგზავნას ემუქრება. ეტყობა ვირზე შესმა ქალისათვის იმ დროშიაც დამამკირებელ სასჯელად ყოფილა მიჩნეული. მაგრამ ჩვენ აქ ორი გეოგრაფიული სახელი გვინტერესებს: ჩორდი და კარი. ზემოთაც ვთქვი (X, 6) და აქაც ვიმეორებთ რომ „წამების“ ტექსტის მიმდინარეობა აშკარად გვიჩვენებს რომ ეს ადგილები თვით ჰერეთის საზღვრებში არ უნდა ყოფილიყო. თუ სახეში მივიღებთ ჩვენს ხალხში დღემდე დარჩენილს ძველს ჩვეულებას, რომლის ძალითაც დამნაშავე ცოლს ქმარი მშობლებს უბრუნებდა, საშუალება მოგვეცემა ვიფიქროთ რომ ვარსკენის მუქარა შუშანიკის სამშობლოს (სასომხეთს) უნდა გულისხმობდეს და, მაშასადამე, ზემოაღნიშნული ადგილებიც სასომხეთში უნდა ვეძიოთ: შესაძლოა აქ დასახელებული „კარი“ ქალაქი „კარინი“ ანუ ძველი „თეოდოსიოპოლი“ (ეხლანდელი არზრუმი) იყოს. მაშინ „ჩორდიც“ მის მახლობლად უნდა ყოფილიყო.

2. მიპრქუა—უპასუხა, შეუთვალა.

3. უბადო—უბედური (იხ. ზემოთ I, 3), ავი.

4. უგულისხმო—შეუგნებელი, შეუსმენელი.

5. განვერე—გადავრჩე (იხ. ზემოთ VII, 3).

6. მიმთხუევაჲ, შემთხუევაჲ—შეხედომა, შეხვედრა.

7. ძუქუესტპ ანუ ძუქუესმტპ—იმავე ძუქუთი გაზრდილი, ძიძისშვილი. როგორც ვხედავთ, შვილის გაბარება გასაზრდელად იმ დროსაც მიღებული ყოფილა ქართველ აზნაურთა შორის.

8. ოკერი—უპატრონო. „ნუ აოკრებ“—უპატრონოდ ნუ სტოვებ, ნუ აობლებ.

9. „მაგიერ“—მანდედან; ისე როგორც „ამიერ“—აქედან.

10. ურდი—შესაძლოა ვარსკენის სამშობლო დაბა იყოს (შეიძლება ეს იყოს ახლანდელი სოფელი „ურუთი“ ბორჩალოს მაზრაში), სადაც დედა-მისი ყოფილა დამარბული.

11. შემო-ვინმე-ვიდა—ვინღაც შემოვიდა.

12. შეტყუილი—შეტყუება, ტყუილით შემოპარვა, მიზიდვა და მიბირება.

თ ა ვ ი მ- XIV-ე:

1. ჯეკმა—ნამეტნავი, მეთისმეტი.

2. დამაშურალობაჲ—დადლილობა, დაქანცულობა.

3. აელი—ფერფლი.

4. „აღესებაჲ“ და „ერგასი“ იხ. ზემოთ VIII, 3 და XII, 3.

5. სასთაული—ბალიში.

6. ალიზაკი—გამოუმწვარი პატარა აგური. ალიზი—გამოუმწვარი აგური.

7. სასთუნალი—თავქვეშ დასადები ფიცარი ან სხვა რამ.
 8. გორჯაკი—„ქეჩას“ უნდა უდრიდეს: «ქვეშაგები კმნილი მატყლით რაიმე ანუ ნაბადი».
 9. სასთაულაკი—პატარა ბალიში.
 10. ხალენი—ლაზლის ძაფის მახარა, რომელსაც ზოგჯერ, ალბად, საბნადაც დაიხურავდა.
 11. კილიკი—ბალნის ანუ ლაზლის ფლასი.
 12. ხორშაკი—ცხელი შემწველი ქარი.
 13. დაწერტილი—ჩხვლეტით ნაწამებ-დატანჯული, ნაწვალები.
 14. დამშრშალი—იხ. ზემოთ XII, 7.
 15. დამდიერებელი—მუნიანი, ქეციანი. მდიერი, მლერი—ძნელი მუნი.
- ქეცი.
16. „ჩარადოვანი“. ჩარანდელი—ერთგვარი სენია პირისახის დამასახიჩრებელი. შესაძლოა „ჩარადოვანი“ აქედან იყოს ნაწარმოები ან ორივე სიტყვა ერთისა და იმავე ძირისაგან.

თ ა ვ ი მ-XV-მ:

1. წყლულება—დაიარაღება.
2. თხრამლი—მუწუკიდან ნადენი სქელი ბალღამი.
3. მუნ—იქ; ამ შემთხვევაში იგულისხმება საიქიო.
4. „ძაძისა სამოსელი“—სამგლოვიარო შავი ტანისამოსი, ძველად საამისოდ ჩვეულებრივ ლაზლის ძაფის სამოსელი იხმარებოდა.
5. ქენება—ხეფნა.
6. „ანტიოქიისა პალეარტი“. პალეარტი—გარედან წამოსახსანი ტანი-სამოსი იყო. ანტიოქია სირიის დედაქალაქი იყო. ჩანს ქართველებს იმ დროს ანტიოქიასთან სააღმშრამციემო დამოკიდებულებაც ჰქონიათ. ვამბობთ „სააღმშრამციემო დამოკიდებულებაც“, რადგან, როგორც ვიცით, ეკლესიურად საქართველო იმ დროს ანტიოქიის პატრიარქს ემორჩილებოდა, რომელიც აქ ნიშნავდა ეპისკოპოსებსა და მთავარეპისკოპოსებს (იხ. ამის შესახებ ჩვენი მონოგრაფია: „საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი“ თავი IV. უკრნ. „მოამბეში“ 1905 წ. № 5. შუად. ჩვენივე „წერილები საქართვ. ისტორიიდან“ ნაწ. II, 74—79 და 101—106).

თ ა ვ ი მ-XXVI-მ:

1. მკველი—მონაქალს ეწოდებოდა. და ამგვარად ჩვენ ვხედავთ რომ მეხუთე საუკუნის ქართველ დიდებულებს მთელი შტატი ჰყოლიათ მკველთა და მონებისა.
2. მარტკლი—ბერძნული სიტყვაა, რომელიც აღნიშნავს სარწმუნოებისათვის წამებულს.
3. „მძღავრ შეხლო-ვიდა“—ხლო ძალით შევიდა, რადგან მკველები იყენებდნენ დაყენებულს.

* შუშანიკის „წამების“ ქართული ტექსტის პირველი გამომცემელი საბინინი გვარწმუნებს ვითომც აქ მოხსენებული „ჯუარი“ ყოფილიყო წმ. ნინოს ჯვარი. მაგრამ იმავე „წამების“ სომხური ტექსტის გამომცემელი (ვენეტიკის გამოცემა 1853 წ. გვ. 58, სხოლიო მე-10-ე) ამბობს რომ ეს იყო ჩვეულებრივი ჯვარი და არა წმიდა ნინოსია: რაც შეეხება წმ. ნინოს ჯვარს, რომელიც წმ. შუშანიკს მართლაც ჰქონდა წამებათა დაწყებამდე, ის ჯვარი მან თავისი კმრის შიშით წინაწინ სხვაგან გადაშალა და თან კი მხოლოდ ჩვეულებრივი ჯვარი ჰქონდა. შემდეგ გამომცემელი იძლევა ფრიად საინტერესო საქრონოლოგიო ცნობებს წმ. ნინოს ჯვარის მოგზაურობის შესახებ წმ. შუშანიკის აღსრულებიდან თათრების შემოსევამდე ანის ქალაქში 1239 წელს, მაგრამ ამის შესახებ იხ. ქვემოთ თავი XX, შენ. 5, სადაც ლაპარაკი გვექნება შუშანიკის გარდაცვალების თარიღის შესახებ.

4. საღმრთაჲ—სატიყარი (შეად. ზემოთ XI, 8).

5. სათნო—სასიამოვნო (შეად. ზემოთ I, 5).

6. საწუთროჲ—წუთისოფელი, საქაო ცხოვრება.

7. „მედგრობაჲ“—დღეს ამ სიტყვას სულ სხვა მნიშვნელობით ხმარობს ჩვენი მწერლობა ვინემ ძველად იყო. სახარებაში (მათესი 25, 26) სიტყვა „მედგარი“ ნახმარია „ზარმაცის“, „მკონარის“ საბადლოდ და საბა ორბელიანსაც ნაჩვენები აქვს ამ სიტყვის ასეთი მნიშვნელობა: „მედგარი—მკონარი და მოუძღურებელიო“ (გვ. 177). ამის მიხედვით შუშანიკის „წამებაში“ სიტყვა „მედგრობაჲ“ უნდა ნიშნავდეს—უძღურებას, სიზანტე-სიზარმაცეს. ჯოჯიკი სთხოვს წმ. შუშანიკს: ნუ მოიხსენებ ჩემს სისუსტეს, ჩემს უძღურებასო.

8. „წარმდებად“. საბა ორბელიანის განმარტებით სიტყვა „წარმდები“ თავისი მნიშვნელობით წინააღმდეგია „თანმდები“-სა და აღნიშნავს ისეთს ადამიანს, რომელიც თავის მოვალეობას, თავის საქმეს არ ასრულებს, მაშასადამე ვინც დაუდევარია და თავისი მოვალეობის არშემგნები (გვ. 376). ამასთან ერთად საბა ორბელიანი ციტატას უჩვენებს ტიმოთეს მიმართ მეორე ეპისტოლედან (თავი 3, მუხ. 4), სადაც ეს სიტყვა მართლაც ნახმარია, თუ რუსულ თარგმანს დაეჯერებთ, საბადლოდ „თავხელი“-სა (руки), ხოლო, თუ ფრანგულ თარგმანს დავენდეთ, საბადლოდ სიტყვისა: *empoiťe*—ფიცი; ცხარი. ჩუბინა-შვილის განმარტებით ეს სიტყვა ნიშნავს: თავხედს, განუსჯელს, წინდაუხედავს, გარეწარს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ შუშანიკს საბუთი არ ჰქონდა თავისი მახლისა და რძლისათვის „თავხელობა“ გინდ „გარეწრობა“ ესაყვედურებინა, იძულებული ვიქნებით დავასკვნათ რომ შუშანიკის საყვედურში სიტყვა „წარმდებად“ უნდა ნიშნავდეს: „დაუდევრად“, „განუსჯელად“, „აჩქარებით დაუვიკრებლად“, ე. ი. შუშანიკი უსაყვედურებს თავის მახლსა და რძალს: თქვენ ამ საქმეში ვერ გამოიჩინეთ საკმაო შეგნება თქვენის მოვალეობისა და ჩემდამო თანაგრძობაო.

9. თვნიერ—თანდებულია: გარდა, გარეშე. „თვნიერ შენსა“—შენს გარეშე, უშენოდ.

10. თუალთღება—თუალღება (ეფეს. 6, 9), პირმოთნობა, პირფერობა და მიერძება.

11. ე. ი. გარჩევა, განსხვავება.

12. მოსთულვა—მოკრეფა (აქედან არის სიტყვა სთველი, ანუ რთველი—ყურძნის მოკრეფა).

13. დაშრეტა—დავსება, დაქრობა.

14. პალატი—სასახლე.

15. განიშორა, გამოვსალმა (შეად. ზემოთ II, 1).

თ ა ვ ი მ-XVII-ი:

1. „თავი იგი ეპისკოპოსთა სამოველ“. ეს სამოველი შუშანიკის „წამებაში“ წინეთაც არის მოხსენებული, მაგრამ იქ უბრალო „ეპისკოპოსად“ არის წოდებული (იხ. ზემოთ თ. XVII, შენ. 8). აშკარაა—ექესი წლის განმავლობაში. რომელმაც შუშანიკის წამებათა დასაწყისიდან მის გარდაცვალების წლამდე განვლო, სამოველს უკვე ეპისკოპოსთა „თავობა“ ანუ მთავარეპისკოპოსობა მიუღია. მაგრამ მატინან და ქრონიკა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ იმ დროს საქართველოში მხოლოდ თითო ეპისკოპოსს ასახელებს და კერძოდ ვახტანგ I გორგასალის მეფობაში ერთი-მეორის შემდეგ მარტო ორ მთავარეპისკოპოსს იცნობს: იოველსა და მიქაელს, რომელის შემდეგაც (ვახტანგისავე მეფობაში) დასახელებულია პირველი ქართველთა კათალიკოზი პეტრე (ე. თაყაიშვილი: Описание... II, გვ. 721—722. შეად. მისივე გამოცემული „მარამ დედოფლის ვარინტი ქართლის ცხოვრებისა“, გვ. 177—179). თუ ქრონიკის „იოველი“ გადმომწერლის მიერ დამახინჯებული „სამოველი“ არ არის, უნდა ვიფიქროთ რომ ქრონიკის ავტორს ხელთ სრული სია არა ჰქონებია: იოველსა და მიქაელს შორის კიდევ ყოფილა „თავი ეპისკოპოსთა“ ანუ „მთავარეპისკოპოსის სამოველ“, რომელიც იოველის მთავარეპისკოპოსობის დროს (ე. ი. ვახტანგის მეფობის 1-ელ ნახევარში) უბრალო „ეპისკოპოსად“ ყოფილა, ხოლო იოველის შემდეგ მისი კათედრა მიუღია და ამ ახალი ხარისხით შესწრებია წმ. შუშანიკის გარდაცვალებას.

ჩვენს საისტორიო მწერლობაში არსებობს აზრი ვითომც ეს სამოველი ყოფილიყოს პირველი კათალიკოზი ქართლისა (იხ. ჯავახიშვილის „История церковнаго разрыва между Грузіей и Арменией въ началѣ VII-го вѣка“. Спб. 1908, стр. 511—511. შეადარე მისივე „ქართველ ერის ისტორია“ I, გვ. 244). მაგრამ ეს აზრი ჩვენ მრავალის საბუთით დავარღვიეთ ამ ექესიოდე წლის წინეთ (იხ. ჩვენი „წერილები საქ. ისტორიიდან“ II, გვ. 107—111) და მაშინდელ ნათქვამს აქ აღარ გავიმეორებთ. დავსძენთ მხოლოდ ჩვენი მაშინდელი ნათქვამის შესასწორ-შესავსებლად რომ არა გვეგონია ეს სამოველი როდისმე კათალიკოზად ყოფილიყოს. ის სამოველ I კათალიკოზი, რომელიც ქრონიკაში ვახტანგის გარდაცვალებისა (ჩვენის თარიღით 503 წელს) და პირველის კათალიკოზის პეტრე 1-ელის შემდგომმა მოხსენებული, შეუძლებელია იყოს შუშანიკის თანამედროვე „თავი იგი ეპისკოპოსთა სამოველ“. ამის შეუ-

ძლებლობას გვაფიქრებინებს თვით ქრონიკისავე ცნობა, რომ, როცა პეტრე I-ელი ქართლში კათალიკოზად გამოცხადებულ იქნა, მაშინ სამოველ I-ელი ძხოლოდ უბრალო „მონაზონი“ იყო (თაყაიშვილი: Описание... II, 722). შუშანიკის წამებათა თანამედროვე სამოველი, როგორც ჩანს, არც მოსწრებია ქართლში კათალიკოზობის დაარსებას (ჩვენის თარიღით 493-495 წლებში. იხ. „წერილები საქართვე. ისტორიიდან“ II, გვ. 101): მისი ადგილი დაუკერია მიქაელ-მთავარეპისკოპოსს, რომლის გაძევების შემდეგაც დაარსდა კათალიკოზობა და „პირველი კათალიკოზი იყო პეტრე I“, როგორც ამბობს „ქართლის მოქცევის“ ქრონიკა (Описание... II, 722) და მას მხარს უჭერს მთელი ჩვენი საერო და საეკლესიო ისტორია მე-V-ე საუკუნიდან მე-XX-ე საუკუნემდე.

2. მოყუასი—მახლობელი, მოყვარე, მეგობარი, ამხანაგი.

3. „ზეპურნი დედანი“—ე. ი. კეთილშობილნი (აზნაურთა ჩამომავლობის) ქალები; «ზეპური» უღრის სომხურ „სეპუჰ“ რომელიც ნიშნავდა „კეთილშობილს“ (შეად. История Армении Моисея Хоренского. ემინის თარგმანი. მოსკოვის გამოცემა 1893, გვ. 303); სეფე-ქალები. ეთიმოლოგია ამ სიტყვისა იხ. ნიკ. მარის: „Этимология двухъ терминовъ армянскаго феодальнаго строя: seruh—*seruh и naqarag—*naharag“. Спб. 1898 (=Отд. оттискъ изъ Зап. Вост. Отд. Имп. Русск. Археол. Общ.“ т. XI).

4. «აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი». ამგვარად ჩვენ ვხედავთ რომ მეხუთე საუკუნეში მთელი ქართლის მცხოვრებლები ორ მთავარ წოდებად ყოფილან გაყოფილნი: „აზნაურებად“ და „უაზნოებად“, ე. ი. თავისუფალ და უთავისუფლოდ. ასეთი დაყოფა, როგორც ირკვევა, უკვე მე-II-ე საუკუნიდან დაწყებულია (იხ. ივ. ჯავახიშვილის „Государств. стройи древн. Грүзін и древн. Арменіи“ I, стр. 60 და 56—61. მისივე „ქართვე. ერის ისტორია“ I, გვ. 231—232 და ჩვენი „წერილები საქ. ისტორიიდან“ II, გვ. 45—46).

5. აზოვანი—ძლიერი და გულოვანი. მაგრამ ზოგჯერ ეს სიტყვა აღნიშნავს „მოღვაწეს“ და შუშანიკის „წამებაშიაც“ ამ აზრით უნდა იყოს ნახმარი (შეად. ნ. მარის—Физиологи, стр. 56, 11, სადაც სიტყვა „აზოვანი“ გადათარგმნილია „მოღვაწედ“=подвижник).

6. ერთბამად—ერთპირად, ერთად.

7. აღესებაჲ—შესრულება.

8. „მოშუერით“—მოიქანცეთ, დაილაღეთ, გაისარჯეთ.

9. „აჰა ესერა“—აი.

10. ე. ი. გამოსალმებულნი, გამოცლილნი, მოშორებულნი.

თ ა ვ ი 80-XVIII-ე:

1. მოწლებჲ—გულჩეილობა, მოწყალება, გულშემატკივრობა.

2. მამამჷძჷ—ძიძის ქმარი. ამგვარად შუშანიკი აფუტ-ეპისკოპოსის ცოლის გაზრდილი ყოფილა. იმ დროს ცოლოსანი ეპისკოპოსები ჩვეულებრივი მოვლენა იყო ჩვენში.

3. შევედრება—შეხვეწნა; ჩაბარება.
4. ნეშტი—ნეშთი, დანარჩომი.
5. ვინაჲ—საიდან; „ვინაჲცა“—საიდანაც.

თ ა ვ ი მე-XIX-ი:

1. შეგრაგნაჲ--ტილოში შეხვევა.
2. მიწოვანი—მიწიერი, ამქვეყნიური (წინააღმდეგ იმქვეყნიურის „მატ-ლისა“).
3. თხრამლი—იხ. ზემოთ XV, 2.
4. კეროვანი—მსხვილი სანთელი, კელაპტარი.
5. აღხუმა—აღება.
6. გამოხუმა—გამოღება, გამოტანა, გამოსვენება.
7. ქველი—მოწყალე, კეთილი. „განაქველნის“—მოწყალე ჰყოს, კეთილ-ჰყოს.

თ ა ვ ი მე-XX-ი:

1. აპნისი ანუ აპანი—იანვარი.
2. ამგვარად შუშანიკის წამება დაწყებულია იანვრის რევს, დღით «ოთხ-შაბათს». მაგრამ, როგორც ვნახეთ (I, 1), შუშანიკის წამება დაიწყო 46ს წელს; ამ წელს კი 8 იანვარი შაბათს ხვდებოდა და არა „ოთხშაბათს“; ამიტომ შესაძლოა ამ უკანასკნელ სიტყვაში მარცვალი „ოთხ“ გადამწერის მიერ იყოს მიმატებული დედნის გაურკვეველობისა გამო.
3. «ზატიკი» საზოგადოდ ნიშნავს უქმეს, დღესასწაულს (კ. კეკელიძე—*Сербскохмекій Каленарь*, გვ. 328). აქედან: „აღსვებისა ზატიკი“—აღდგომის დღესასწაული (შეად. VIII, 3).
4. ვარლობის თთუბ --მაისი.
5. როგორც „წამების“ ტექსტიდან ჩანს (X, XIV, XV), წმ. შუშანიკის გარდაცვალება მომხდარა მის ტანჯვათა დაწყებიდან მეშვიდე წელს, ოქტომბრის 17-ს, მაშასადამე 472 წლის 17 ოქტომბერს. ამ თარიღს საკმაოდ უახლოვდება და მხარს უჭერს სომხური წყაროების სინქრონოლოგიური ცნობა: ამ ცნობით წმ. ნინოს ჯვარი შუშანიკმა თავის სიცოცხლეშივე გაგზავნა თავის სამშობლოში („ტარონს“), რათა ეს სიწმიდე ვარსკენს არ, ჩავარდნოდა ხელში; შუშანიკის გარდაცვალების შემდგომ ამ ჯვარმა სხვადასხვა მონასტრში იმოგზაურა: 459 წელი დაჰყო ვანანდს ჯვარისმონასტერში, 164 წელი კაქს ქალაქს და 142 წელი ანის ქალაქს, სანამ ეს ქალაქი არ აიღეს თათრებმა (1239 წელს); შემდეგ კი უცნაურ იქმნა (იხ. შუშანიკის „წამების“ სომხური გამოცემა 1853 წ., ვენეციაში, გვ. 59—60, შენიშვნა მე-10). მაშასადამე ამ ცნობით შუშანიკის გარდაცვალება მომხდარა 1239—(459+164+142)=474 წელს. ორი წლით განსხვავება აქ სრულიად ბუნებრივია, რადგან სომხურ წყაროში სრული წლებია ნაანგარიშები და ზედმეტი თვეები მხედველობაში

არ არის მიღებული; ესენი რომ გამოერიცხოთ განსხვავება სრულიად უმნიშვნელად დარჩება.

6. «და დღე «ხუთშაბათი იყო» და სხვა. ჩანს შუშანიკის ხსენება ხუთშაბათს დაუწესებიათ, ე. ი. იმ დღეს როცა იგი გარდაცვლილა. და ეს ცნობაც სრულიად ეთანხმება შუშანიკის გარდაცვალების თარიღს: მართლაც 472 წელს 17 ოქტომბერი „ხუთშაბათი“ დღე იყო.

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი ბ ი

როგორც «წინასიტყვაობაში» მოვიხსენიეთ, ჩვენი გამოცემის გეგმის თანახმად, აქ უნდა მოგვეთავსებინა ხელნაწერ დედანთა სრული აღწერილობა და ეოგეოგვარი განსხვავება (ვარიანტები), რაღაც ხელნაწერებში მოიპოვება. ეს შემთხვევა უკვე გაწეული გვაქვს და დასაბუთებლად მასალა სრულიად დამზადებული. სამწუხაროდ თვით ბეჭდვას წინ მრავალი მოულოდნელი დაბრკოლება გადაელობა, უმთავრესად ტექნიკურის ხასიათისა. არამც თუ ქუთაისში, სადაც ტექსტი იბეჭდება, თფილისშიაც ვერ ვიპოვეთ სტამბა, რომელსაც ეტვირონა დამზადებული დედნის აწეობა: ახლად დრო ისეთია რომ ეველანი გაზეთისა და ანგარიშ-ბლანკების ბეჭდვას რჩეულობენ, ვინემ ისეთი მოსაწყენი და რთული საქმისას, როგორც ძველი ტექსტებისა და ხელნაწერი ვარიანტების აწეობაა.

ამის გამო იძულებული ვართ— აღნიშნული (უკვე დამზადებული) მასალის გამოქვეყნება შესაფერ დრომდე გადავსდვათ და აქ მხოლოდ ხელნაწერთა მოკლე აღნუსხვას დავსჯერდეთ.

აი ეს ხელნაწერები:

1. საეკლესიო მუზეუმის № 98, რომელიც ჩვენს გამოცემაში აღნიშნულია ლიტერატურა A. ეს არის უუდიდესი ქართული ხელნაწერი (ეტრატისა), რომელმაც ჩვენამდე მოაწია (მისი აღწერილობა იხ. თ. უორდარის კატალოგში I, გვ. 96—114). ამავე დროს იგი უუძველესი ხელნაწერია იმ ხელნაწერთა შორის, რომელსაც „შუშანიკის წამების“ ტექსტს შეიცავენ. გადაწერილია მე-X-ე საუკუნეში ჰარხალის მონასტერში. სამწუხაროდ შუშანიკის წამების ტექსტი ამ ხელნაწერში სრულიად არ არის დაცული: ამ ტექსტს აქ უჭირავს მე-15-ე რეგულის უანასკნელი შვიდი ფურცელი (გვერდები 735—748 = ჩვენის გამოცემისა 1—15 გათავებული სიტყვითა: „საზრდელი“, სტრიქონი 16—17) და, რაღაცან შემდეგი რეგული დაკარგულია, ამიტომ შუშანიკის „წამების“ ბოლო აკლია.

სამაგიეროდ „წამების“ ტექსტი სრულად არის დაცული შემდეგს ხელნაწერებში:

2. საეკლესიო მუზეუმის № 130 = B. გადაწერილია მასქოთეთრ ქალაქზე ნუსხასტურით 1713 წელს. შუშანიკის „წამების“ ამ ხელნაწერში უჭირავს 168—169 გვერდები.

3. საეკლესიო მუზეუმისავე № 170 = C. გადაწერილია 1733 წელს (დაწერილებითი აღწერა იხ. თ. უარდანიას კატალოგში I, გვ. 178 — 180).

4. იმავე მუზეუმისა № 176 = D. გადაწერილია 1743 წელს.* აქ აღნუსხული ოთხი ლიტერის (ABCD) გარდა ჩვენი გამოცემის არშიებზე აღნაშნული გვაქვს კიდევ მიხეილ საბანინის გამოცემაც ლიტერითა S.

«წამების» ტექსტი არცერთ ხელნაწერში თავებდა დაყოფილი არ არის: რომაული ციფრებით მისი თავებდა დაყოფა ჩვენ გვეკუთვნის. საკვეთებდა დაწერა კი უმეტეს შემთხვევაში ხელნაწერი დედნებისა გვაქვს დაცული.

სწორ ფონსილებში [] ჩანს მული სიტყვები და ასოები ჩვენ გვეკუთვნის: იგინი არცერთ ხელნაწერში არ მოიპოვებთან.

ქარაგმანი სიტყვები ვეველგან გავხსენით სამეცნიერო აკადემიის მიერ მიღებული სიის თანახმად (გვ. 5 — 7).

ორასოიანი „ოჯ“ ჩვენ ვეველგან დავსტამბეთ ერთი ასოთი „უ“, ავეთ ისეთ სიტყვებშიაც კი როგორც არიან: „ოჯფლო“ = „უფლო“ და „იესოჯ“ = „იესუ.“ ძირითად ხელნაწერში (A) ზოგჯერ ორასოიანის «ოჯ»-ის ნაცვლად ზის მარტო უკანასკნელი ასო ჯ, მაგალითად შემდეგ სიტყვებში: „მომკვდარ ხართ“, „სიკვდილი“, „ერქჯ“, „მრქჯ“, „ვარქჯ“, „ზაკვით“ და სხვანი. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ვეველგან ვიხმარეთ ასო „უ“. მაგრამ საჭიროდ ვრაცხთ, სპეციალისტთა საურადადებოდ, შემდეგი მოსაზრება დავურთოთ: შესაძლოა — ჩამოთვლილ სიტყვებში ჩვენ საქმე გვქონდეს არა უბრალო გადაწერითს შედრომასთან (ასოს დაკლებასთან), არამედ სრულიად კანონზომიერ საორთოგრაფიო მოელენასთან, სახელდობრ, შესაძლოა ასო ჯ დასახელებულ ფორმებში ფონეტიკურის სისწორით გადმოგვემდეს. იმ მარტივს ნახევარხმოვანს ბგერას, რომელსაც საშუალო ადგილი უჭირავს უ-სა და ვ-ს შორის და რომლის გამოსახატავად მე-XVIII-ე საუკუნეში „ჟ“-ბჯგუ იქმნა შემოღებული. მაგრამ იმავე ძირითად ხელნაწერში (A) ესევე სიტყვები „უ“-ნითაც იხმარება და ამიტომ ჩვენს გამოცემაში უპირატესობა ჟერჯერობით ამ მართლწერას დავუთმეთ.

* ამ ოთხი ხელნაწერის გარდა ჩვენ ხელთ გვექონდა კიდევ „ქართვ. შორის წ.-ჯ. გამ. საზოგადოების“ ორი ხელნაწერი №№ 8887 და 8887, რომელნიც გადმოწერილია მე-10-ე საუკუნეში. პირველი მათგანი წინა ხელნაწერების პირს წარმოადგენს, უკანასკნელი კი უბრალო პერიფრაზია ქართველ წმიდათა „ცხოვრებისა.“

სახელი „ვარსკენ“ და წოდება „პიტიაში“ ძირითად ხელნაწერში ზოგჯერ ასე იწერება, ზოგჯერ კი: „ვარსკენ“ და „პიტიაში“ ჩვენ უპირატესობა პირველ ფორმებს მივივით.

ნათესაობითი ბრუნვა ე-ფუძის სიტყვებში ზოგჯერ სისწორიოთა ხელნაწერში დაცული: „პელეს“, ზოგან კი არა: „ქრისტესი“; ჩვენ ეველგან „სს“ ვბეჭდავთ: „პელეს“, „ქრისტესი“ და სხვანი.


მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოება სიტყვაში „ეგრეთ“ ზოგჯერ სისწორიოთა ნახმარი, ზოგჯერ კი არა: „ეგრეთ“. ჩვენ ეველგან პირველი ფორმა ვარჩიეთ.

A-ხელნაწერის ნაკლები ტექსტი დანარჩენი ხელნაწერებიდან შეკავსეთ და ამ უკანასკნელთა ტექსტის ორთოგრაფია შევასწორეთ A-ხელნაწერის შენახული ტექსტის თანახმად.*

სასყენებელი ნიშნები ჩვენის დროსა ვისმარეთ (იხ. ჩვენი „ქართული მართლწერა“ 1916 წ., გვ. 58—60).

თუმცა ძალიან ვეცადეთ, მაინც გამოცემაში რამოდენიმე კორექტურული შეცდომა შეგვეპვრა. აი ეს ადგილები:

გვერდი	სტრუქონი	სიტყვა	უნდა იყოს
3	34—35	—	სრსულმან
6	22	3	ვოჯიკ
10	7	3	მრქვა
48	19	2	ვითარ
16	4	4	ქუქუდმტე



* დაწერილებითი კრიტიკა ხელნაწერთა ტექსტისა წარმოდგენილი იქნება ხელნაწერების სრულ აღწერილობასთან და ვარიანტებთან ერთად. იქვე იქნება ხელნაწერთა კლასიფიკაცია.

**საკუთარ სახელთა და შენიშვნებში განმარტებულ სიტყვათა
ანბანური საძიებელი*.**

- ბელი XIV, 3.
 აზნაური და უაზნოა XVII, 4.
 ალიზაკი XIV, 6.
 ამბოხი IX, 5.
 აობრება იხ. ობრება.
 აპნისი 22, 31. XX, 1.
 არტოშანი II, 9.
 არშუშა 1, 7.
 ასერგასი XII, 3.
 ასტამი VI, 5.
 აფუტ (ეპისკოპოსი) 3, 18. 10, 29.
 21, 27. 22, 14.
 აღესება VII, 3. XVII, 7. XX, 3.
 აღხმა XII, 2. XIX, 5.
 ახოვანი XVII, 5.
 აჰა ესერა XVII, 9.
 ბრდღუნა ანუ ბრდღინვა IV, 10.
 ბეროზ ანუ პეროზ (სპარსთა მეფე) I, 1.
 შალიაკი V, 7.
 გამოხუმა XIX, 6.
 განშორებისა საღობა 14, 20. XI, 3.
 განვერე იხ. განრინება XIII, 5.
 განკაფა VII, 13.
 განრინება XIII, 5.
 განსარინებელი VII, 3.
 განტეუება VI, 11.
 განქუელება XIX, 7.
 განყენება III, 7.
 განჩინება V, 1.
 გარემოქცევა XI, 4.
 გებულად VII, 14.
 გირჯაკი XIV, 8.
 გლა X, 1.
 გუემა VI, 7.
 ღაბა II, 4.
 დაბურვა IX, 3.
 დაბუშებული XII, 3.
 დაბძარვა VIII, 7.
 დაეითნი 15, 2.
 დათხევა VI, 4.
 დაკვრება VII, 4.
 დამაშურალობა XIV, 2.
 დამიანს და კოზმან XX, 5.
 დამღიერებული XIV, 15.
 დამშრალი XII, 7. XIV, 14.
 დასაბამი VII, 6.
 დაყოფა VIII, 2.
 დაშრეტა XVI, 13.
 დაცხრომა VI, 10.
 დაწერტილი XIV, 13.
 დევი IV, 9.
 დიასპანი II, 3.
 მენჯელს V, 6.
 ერგასი XIV, 4.
 ერთბამად XVII, 6.
 ესერა—აჰა ესერა XVII, 9.
 მანი III, 1-X, 5.
 ვარდან 1, 10. 1, 12. I, 2.
 ვარდობისა თითუ 22, 34. XX, 4.
 ვარსკენ (ქმარი შუშანიკისი) 1, 7.
 1, 20. 2, 30. 2, 36. 4, 16. 4, 30.
 4, 34. 7, 13. 7, 35. 8, 12. 11, 17.
 12, 28. 19, 81.
 ვახტანგ I გორგასალი I, 1.
 ვინაეცა XVIII, 5.
 ზაკეა IV, 2.
 ზატკი XX, 3.

*) რომაული ციფრით ნაჩვენებია ტექსტის თავი, ხოლო მის გვერდში მდგომი არაბული ციფრით—იმავე თავის შენიშვნა. ორ-ორი არაბული ციფრი კი უჩვენებს ტექსტის გვერდსა და სტრიქონს.

ზეპურნი დედანი XVII, 3.

ზესუნელი XII, 4.

ზრახვამ IV, 1.

შანამდები V, 3.

თვნიერ XVI, 9.

თულთლება XVI, 10.

თხრამლი XV, 2. XIX, 3.

იაკობ (ხუტესი, მოძღვარი შუშანი-
კისი და ავტორი წინამდებარე ნა-
შრომისა) I, 1.

იერუსალსში 14, 26.

იკარეს იხ. კადრება.

ივანს (ეპისკოპოსი) 9, 20—21;
20, 27—28. 22, 6. 22, 13.

ქად'ება II, 8. XII, 9.

კარული XIII, 1.

კარი 15, 26. 15, 28.

კეროვანი XIX, 4.

კითხვამ ჰრქუა II, 6.

კილიკი XIV, 11.

კოზმან და დამიანს 23, 2 (XX, 5).

კუბასტი VIII, 6.

კუერთხი VIII, 4.

მაგიერ XIII, 9.

მამამძუმს XVIII, 2.

მარტკლი XVI, 2.

მედგრობამ XVI, 7.

მეოტი IX, 9.

მიმთხუეეამ XIII, 6.

მიც (==მიძს) VII, 9.

მიწოვანი XIX, 2.

მიჰრქუა იხ. რქუამა.

მოგვ X, 2. სპარსი მოგვ 14, 19.

მონა-მკევალი XVI, 1.

მოსთულეამ XVI, 12.

მოყუასი XVII, 2.

მოშუერით იხ. მოშურომამ.

მოშურომამ XVII, 8.

მოწლებამ XVIII, 1.

მუნ II, 11. IX, 10. XV, 3

მეის III, 2.

მკედერ IX, 4.

მკევალი XVI, 1.

მჯილი VI, 6.

ნეშტი XVIII, 4.

ნხრება XII, 8.

პავლს (მოციქული) 4, 22.

პალატი XV, 14.

პალეკარტი XV, 6.

პეროზ ანუ ბეროზ (სპარსთა მეფე) I, 1.

პიტიაშხი I, 1.

რქუამა XIII, 2.

რჩეეამ XVI, 11.

სალბუნი VII, 7.

სალმოზამ XI, 3. XVI, 4.

სამარტკლს IV, 6.

სამოელ 9, 20 (VII, 8); 'თავი ეპი-
სკოპოსთა 20, 27.

სამოსელი XV, 4.

სარკუმელი VIII, 1.

სასთაული XIV, 5. სასთაულაკი
XIV, 9.

საწუთრომ XVI, 6.

სახიდ IV, 8. XI, 5.

სენაკაპანი VIII, 9.

სენაკი V, 8.

სიელტოლა IX, 1.

სიყმილი IX, 11.

სპამპეტი I, 2.

სპარსთა მეფს 1, 6; სპარსი მოგვ
14, 19.

სრსკლი III, 4.

სულთ-თქუამა XII, 6.

სძალი X, 4.

ტარიგი X, 3.

ტაძარი II, 10. V, 6.

- შახნონი და ახნაურნი XVII, 4.
 უბაღო XIII, 3.
 უბაღრუი I, 3.
 უგულისხმო XIII, 4.
 უზმა VI, 2.
 ური (დაბა) 16,13=XIII, 10. სო-
 ფელი „ურუთი“ დღესაცაა ბორ-
 ჩალოს მახრაში.
 ურვა V, 4.
 ურჩულო VIII, 8.
 უწეს VII, 11.
 უწყება III, 6.
 უკამური IX, 2.
 უკმა XI, 1.
 უკმნა იხ. ჯმნა.
 ძართლი 2, 12—13. 14,12. 20,35.
 ქენება XV, 5.
 ქუდამართ XII, 5.
 ქუეყანა VI, 9.
 ლაწვ IX, 7.
 შევედრება XVIII, 3.
 შემთხუევა IV, 3.
 შემო-ვინმე-ვიდა XIII, 11.
 შემოხუმა IV, 7.
 შემწუხრება V, 1.
 შესაგრაგნულად XIX, 1.
 შე-ხოლო-ვიდა XVI, 3.
 თამურხილი VII, 10.
 ჰუშანიკი 1,5. 1,12. 2,8. 2,22. 2,28.
 2,32. 3,21. 3,30. 3,32. 4,1. 6,7.
 6,18. 6,24. 6,30. 6,35. 7,9. 7,21. 7,
 23. 7,31. 8,10. 8,19. 9,8. 9,11. 9,16.
 9,23. 10,11. 10,18. 10,34. 11,3.
 11,7—8. 11,16. 11,23—24. 11,
 27. 11,33—34. 12,8—9. 12,10.
 12,21. 12,30. 13,23. 13,32.
 14,4. 14,15. 14,27. 14,32. 14,
 35. 15,6. 15,18. 15,27. 16,1.
 16,8. 16,20. 16,24. 17,35. 18,25.
 18,28. 18,39. 19,3. 19,6. 19,12.
 19,22. 19,30. 20,15. 21,8. 22,31.
 23,4.
 ჩარაღოვანი XIV, 16.
 ჩორდი (თუ ჩორი?) 13,30. X, 6.
 15,25. 15,29.
 ტეცხლის თაყუანის ცემა I, 1.
 ცისკარი VII, 1.
 ცურტავი (დაბა) 2,19=II, 5.
 ძეძვ VIII, 5.
 ძლით VI, 3.
 ძნიალ X, 2.
 ძუძუმსტე XIII, 7.
 წარმღებად XVI, 8.
 წარწყუელა V, 2.
 წყენა X, 7.
 წყულუება XV, 1.
 შირი VI, 8.
 კიქნაუხტი XII, 1.
 ხალენი XIV, 10.
 ხატი IV, 5. VII, 5.
 ხორშაკი XIV, 12.
 ხუაშიადარე III, 5.
 კაკვა IX, 6.
 კელმწიფება IV, 4.
 ჯემა XIV, 1.
 ჯმნა II, 1. III, 3. ჯმნული IX,
 8=XVII, 10. უკმნა XVI, 15.
 ჯოჯოკ (ძმა ვარქენისი და მახლი
 შუშანიკისი) 5,33. 6,12. 6,16.
 6,22. 6,27. 7,16. 7,20. 7,28.
 8,6. 13,30—13,32. 14,2. 18,24.
 19,1. 19,9. 19,15. 19,22. 20,17.
 20,26.
 შერუთი 2,13. 6,12. 6,16. 13,31. II, 2.
 ჰონნი 10,7. VII, 12. 10,27.
 ჰრქუ იხ. რქუმა.

დასასრულ, გულითადაც მადლობას მოვასხენებ ბ-ნს იოსებ ყიფშიძეს
 რომელმაც ამაგი დაგვლო და მოგვაცოდა საჭირო მასალები ზოგიერთ სიტყვათა
 განსამარტებლად (არტოშანი, ტიჭნაუსტი, გირჯაკი, დამწრშალი ჭ სხვანი).

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა

III IV

«წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი»

1 — 23

შესავალი. I შუშანიკისა და მისი ქპრის ვარსკენის ვინაობა და ამ უკანასკნელის განდგომა ქრისტიანობისაგან. II ვარსკენის მოციქულის მოსვლა ტურტაეს და შუშანიკის მიერ სასახლის დატოვება. III იაკობ-ხუცესის მიერ შუშანიკის გამხნეება. IV ვარსკენის მოსვლა ტურტაეს და მღვდლების მიგზავნა წმ. შუშანიკთან. V ვარსკენის ძმის ჯოჯიკისა, მისი ცოლისა და აფუტ-ეპისკოპოსის მოციქულობა წმ. შუშანიკთან და უკანასკნელის დაბრუნება სასახლეში. VI პირველი წამება წმ. შუშანიკისა მისი ქპრისაგან პურისკამის დროს. VII კვლავ იაკობ-ხუცესის მიერ წმ. შუშანიკის გამხნეება, ვარსკენის წასვლა ჰინჯთან სომრად და შუშანიკისაგან სამკაულთა დაბრუნება. VIII მეორედ წამება წმ. შუშანიკისა. IX ბნელ ციხეში ჩადება წმ. შუშანიკისა. X იაკობ-ხუცესისა და ვარსკენის ძმის ჯოჯიკის ზრუნვა წმ. შუშანიკისათვის. XI წმ. შუშანიკის სახელის განთქმა „ყოველსა ქართლსა“ და სასწაულები. XII შუშანიკის შვილთა მიქევე მოგვობაზე (ეცხლისთაყვანისმცემლობაზე). XIII ვარსკენი კვლავ ცდილობს შუშანიკი სასახლეში დააბრუნოს, მაგრამ ამაოდ. XIV წმ. შუშანიკის ყოველდღიური ცხოვრება საპურობილეში ექვსი წლის განმავლობაში; ჰერეთის ბუნების აღწერა. XV წმ. შუშანიკის დასწევლება საპურობილეში და აღსასრულის მოახლოვება. XVI ჯოჯიკ-ერისთავის და მისი სახლეულობის მისვლა წმ. შუშანიკთან საპურობილეში გამოსათხოვრად. XVII საპოველ „ეპისკოპოსთა თავისა“ და იოვანე ეპისკოპოსის, აგრეთვე დიდგვარიან აზნაურთა და უაზნოთა მისვლა საპურობილეში და შუშანიკთან გამოსალმება. XVIII აღსასრული წმიდისა შუშანიკისა. XIX დაკრძალვა წმიდისა შუშანიკისა. XX თარიღები მისის წამებისა და აღსასრულისა.

შენიშვნები

25 -- 38

ხელნაწერები

39 — 41

შეცდომათა გასწორება

41

საკუთარ სახელთა და შენიშვნებში განმარტებულ სიტყვა-

თა ანბანური საძიებელი

42 — 44